# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 30 მარტი 2005 №69 (2392) ფასი 50 თეთრი




**თურქეთთან უშოთაოდ**

არველაძე გლაზგოში გაფრინდა

2



**ნედვედი ფლორენციაში ბრუნდება**

იუვენტუსის ჩეხმა ტრავმა მოიშუშა

7



**პირველი ჩემპიონი**

80 წლის დავით ციმაკურიძემ წარსული გაიხსენა

14

# თურქ ერთი ესენი დაგვამარცხებინა!



# ახალი არაფერი: გვინახავს და კიდევ ვნახეთ — წავაგეთ

ყველაფერი ნაცნობი იყო: ისევ წაგება, ისევ მოჟამული სახეები, ისევ ქომაგების ცდუნება ბოთლებისკენ, ისევ წითელი ბარათი... ეს ამბები იყო გუშინ ეროვნულ სტადიონზე, სადაც საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა თურქ თანატოლებთან 0:2 წააგო. „პატარა ოსმალოებს“ რა უჭირთ, აზრიანადაც ითამაშეს და ჯგუფში ყოჩობისკენაც მიიწევენ. ჩვენ გოჩა ტყებუჩავას მატჩისშემდგომი ნათქვამი, კარგად ვითამაშეთო, გვაფიქრებს. ეს თუ კარგია და, ჩვენი მეტოქეები სუპერარწივები ყოფილან...



ეროვნული ბიბლიოთეკა







# იალა, ერსუნ!

## დღეს თუ იანალს ასე უთხრეს...

**თურქეთმა** თუ საქართველოსთან ვერ მოიგო, მწვრთნელ ერსუნ იანალს შინ აღარ ჩაესვლება, მას უეჭველი მოხსნიან — აი, ჩვენი თურქი კოლეგების სიტყვები დღევანდელი მატჩის წინ.

რადაც უნდა დაგვიჯდეს, მოვიგებთ, საქართველო ჩვენი ბოლო შანსია — ამას უკვე თავად ერსუნ იანალი ამბობს და თანამემამულეებს წარმატებაში არწმუნებს.

...გუშინ კი იანალმა რჩეული 22 ფეხბურთელი „მიხეილ მესხის“ სტადიონს ასტუმრა და ავარჯიშა. მწვრთნელისა და მისი ამქრის გადაწყვეტილებით, ჟურნალისტები მოედანზე სულ ათი წუთით დაგვიშვეს. ამ ათ წუთში მომთავრდა იანალისა და თურქების რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის სახელდასხელო პრესკონფერენციაც და, ქართველები, რატომღაც, „ოფსაიდში“ დაგვტოვეს. ხოლო როცა მწვრთნელ-ფეხბურთელები ლაპარაკს მორჩნენ, თურქების თურქეთიდან გამოყოლილმა ბოდიგარდებმა სტადიონიდან თავაზიანად დაგვითხოვეს, ხვალ შევხვდებითო... შევხვდებით.

**კობა ინასარიძე**

***ბადრი ქეთილაძის ფოტორეპორტაჟი***





### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

პირველი ჯგუფი
ჰოლანდია 0:0 სომხეთი
მაკედონია — რუმინეთი *დღეს*
მესამე ჯგუფი
ლატვია 2:1 ლუქსემბურგი
სლოვაკეთი 0:1 პორტუგალია
ესტონეთი — რუსეთი *დღეს*
მეოთხე ჯგუფი
ისრაელი 3:2 საფრანგეთი
შვეიცარია 3:0 კვიპროსი
მეხუთე ჯგუფი
მოლდოვა 1:3 ნორვეგია
სლოვენია 1:4 ბელარუსი
მეექვსე ჯგუფი
ავსტრია 2:0 უელსი
ინგლისი 2:0 აზერბაიჯანი
მეშვიდე ჯგუფი
ბოსნია 2:0 ლიტვა
სერბეთი 1:0 ესპანეთი
სან მარინო 0:4 ბელგია
მერვე ჯგუფი
უნგრეთი 1:0 ბულგარეთი
ხორვატია 1:0 მალტა

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მტაპი. სამხრეთ ამერიკა

მეცამეტე ტური
ბოლივია 3:1 ვენესუელა

### ამხანაგური მატჩები

ავსტრალია 3:0 ინდონეზია
ირლანდია 1:0 ჩინეთი

### გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
ვეჰენი 4:0 ბაიერნი (მ)

### ინგლისი

პირველი ლიგა. XL ტური
ჰადერსფილდი 1:0 უენსდი
მეორე ლიგა. XL ტური
იოვილი 1:3 ნოტსი

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
გადადებული მატჩები
ბანიკი 0:0 ოპავა
ბოლესლავი 1:0 ბუდეიოვიცე




ბადრი ქეთილაძის ფოტო

# თურქეთთან უშოთაოდ

## არველაძე გლაზგოში გაფრინდა

**გუშინ** ნაკრების შეკრებას შოთა არველაძე გამოაკლდა და დღეს გლაზგოს გზას დაადგა.

ეს ფაქტი ალენ ჟირესმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე რატომ დაგვიმალა, ჯერ ვერ გეტყვით, კომენტარი კი თავად არველაძეს ვთხოვეთ.

„სამატჩო განაცხადში, თვრამეტ კაცში უბრალოდ ვერ მოვხვდი, თორემ ტრავმა არ მაწუხებს. ახლა მთავარია, თურქეთს მოვუგოთ, რათა ჯგუფიდან გასვლის შანსი კვლავაც გვქონდეს“, — გვითხრა არველაძემ.

**ლუკა თალაკვაძე**



# ქირესის სათურქეთო ბოლოსიტყვაობა არ უნდა ვინანოთ!

**გუშინ** ალენ ჟირესმა სათურქეთოდ ბოლო სიტყვა თქვა და გუნდიც ბოლოჯერ ავარჯიშა.

„ვარჯიშზე ის ელემენტები დავამუშავეთ, რითაც უნდა წარვმართოთ თამაში თურქეთთან. ამ მატჩის შემდეგ არანაირი სინანული არ უნდა დაგვეუფლოს. გახსოვთ, უკრაინასთან კარგად ვითამაშეთ და 0:2 წავაგეთ, დასანანი მარცხი განვიცადეთ, ახლა კი სანანებელი აღარაფერი არ უნდა დაგვრჩეს" — ასე დაიწყო პრესკონფერენცია ჟირესმა და, როცა მას გოგიტა გოგუას ჯანმრთელობაზე ვკითხეთ, გვიპასუხა: „80-90 პროცენტია იმის შანსი, რომ გოგუა თურქეთთან თამაშს შეძლებს. მოკლედ, მისი მინდორზე გასვლა ასპროცენტიანი მაინც არ არის."

გუშინ ნაკრებს დახურული ვარჯიში ჰქონდა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, გუშინწინ კი ვარჯიშის ბოლოს ფეხბურთელები კარში დარტყმებისთვის მოცდნენ, თუმც შოთა არველაძის გარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ შოთა დღეს სამატჩო განაცხადშიც არ იქნება შეყვანილი? „არ მინდა, რომ ეს სახალხოდ გაცხადდეს. ასეთი კითხვა სხვა ფეხბურთელზეც რომ დაგესვათ, ვერ გიპასუხებდით" — გვითხრა ჟირესმა და ქვეტექსტს ალბათ თავადაც ამოიკითხავთ.

ჟირესმა გუშინ ისიც აღიარა, საბერძნეთთან სათანადო ბრძოლისუნარიანობა არ იგრძნობოდაო და დასძინა, ფსიქოლოგიურ ასპექტებზე ფეხბურთელებთან ინდივიდუალურადაც ვმუშაობთო.

წუხელ კი თბილისში ჟირესის დიადი მეგობარი მიშელ პლატინი უნდა ჩამოსულიყო, ვინც დღევანდელ მატჩსაც დაესწრება. „ეს მეგობრული ვიზიტი ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. მე და პლატინი ერთმანეთს შთაბეჭდილებებსაც გავუზიარებთ, გარდა ამისა, პლატინი უეფას პრეზიდენტობას აპირებს, ხოლო საქართველო მისი მხარდამჭერი ქვეყანაა" — განაცხადა ჟირესმა.

**დავით თავართქილაძე**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი ჩვენი მეტოქეები...

# რა დროს ჯიპია

## ფიცი მღამს, ტომასონი მაკვირვებს

უკრაინა — დანია ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩია. მასპინძლებმა თუ მოიგეს, მერე უყარე კაკალი, ძნელად რომ ვინმე დაეწიოს, დანიამ კი ბერძნებთან მარცხის შემდეგ ისე გაირთულა მდგომარეობა, რომ დღესაც თუ წააგო, მუნდიალზე გასვლის შანსი შეუმცირდება.

„ბლოხინის საქმემ" უკრაინას გვარიანად აურია საქმე. მართალია, ჯგუფის ლიდერებს კვლავ ოლეგ ვლადიმიროვიჩი დამოძღვრავს, მაგრამ სასამართლოში სირბილმა ნაკრების სრულყოფილად მომზადებაში ხელი შეუშალა.

„გული მწყდება, რომ გასულ დღეებში აქტუალური თემა დანიასთან მატჩი კი არა, ის იყო, რომელი ჯიპით მივიდოდი სასამართლოზე" — ამბობს ბლოხინი.

უკრაინელებს არ ეყოლებათ ყბაგატეხილი ანდრეი შევჩენკო, რაც ბლოხინის უმთავრესი სატკივარია. „შევა" კიევში მაინც ჩავიდა...

ახლა კი დანიელ იონ დალ ტომასონსაც მოვუსმინოთ: „ბოლო დღეებში შევჩენკო „მილანში" ნორმალურად ვარჯიშობდა და ამიტომაც რაღაც არ მჯერა, რომ ჩვენთან არ ითამაშებს. ანდრეის არყოფნაში მხოლოდ მაშინ დავრწმუნდები, როცა მინდორზე გავალ" — ძალიან ეჭვიანი კაცი ჩანს „დინამიტოს" ბომბარდირი.

უკრაინას დააკლდება მცველები — შელაევი და ფიოდოროვი, ასევე ნახევარმცველი ბიდნენკო. ბლოხინის გუნდმა გუშინწინ კიევის ცსკა-ს 6:1 მოუგო ამხანაგურად, სამი გოლი ოდესის „ჩერნომორეცის" ფორვარდმა ალექსანდრ კოსირინმა შეაგდო, რაც იმას ნიშნავს, რომ სწორედ იგი შეუწყვილდება თავდამსხმაში ლევერკუზენელ ანდრეი ვორონინს.

„ძალიან მინდოდა, საქართველოსა და ყაზახეთს ჩვენი კონკურენტებისთვის ქულები აერთმიათ, თუმც ყველაფერი მაინც ჩვენზეა დამოკიდებული. მოგებისთვის ვიბრძოლებთ, მაგრამ არც მარცხი იქნება დიდი ტრაგედია" — ესეც ბლოხინის სიტყვებია.

რა ხდება დანიის ბანაკში? მორტენ ოლსენის გუნდმა ოთხი დღის წინ ყაზახებთან წაივარჯიშა (3:0) და კარგ ხასიათზეა, თანაც კიევში დისკვალიფიკაციამოხდილი ნახევარმცველი ტომას გრავესენიც დაემატება. წინა ხაზზე კი ოლსენი ალბათ ისევ ტომასონ-მოლერის წყვილს გაამწესებს.

„წაგების უფლება არ გვაქვს, ამ შემთხვევაში ხომ პირველი ადგილზე გასვლის იმედი ჩაგვეფუშე-



იონ დალ ტომასონი ანდრეი შევჩენკოზე ეჭვიანობს

ბა" — ამბობს [illegible]

[illegible]

**ილია ნანობაშვილი**

# ფრთხილად, წინ უკრაინაა

**ევროპის** ჩემპიონმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ცუდად დაიწყო — წაგება და ორი ფრე, მაგრამ ახლა ჯგუფში მეორე ადგილზეა და ლიდერ უკრაინას სამი ქულით ჩამორჩება. ალბანეთი კი ჯგუფში ერთადერთი გუნდია, რომელმაც მიმდინარე ციკლში საბერძნეთის დამარცხება შეძლო — ბერძნებს ალბათ ამჯერადაც ძნელი თამაში ელით.

რეჰაგელის გუნდს კვლავაც არ ეყოლება „რომას" ტრავმიანი მცველი ტრაიანოს დელასი. სამაგიეროდ, ბერძნებს ყველა დანარჩენი ფეხბურთელი ჯანზე ჰყავთ და მათ შორის დისკვალიფიცირებულიც არავინაა.

„თუ ისე ვითამაშებთ, როგორც შეგვიძლია, უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ სტადიონზე კარგი ატმოსფერო იყოს" — უთქვამს ბერძენთა ფორვარდ ზისის ვრიზასს.

ეგრეა, ბერძნები ამ მატჩისთვის გამალებით ემზადებიან და არა მხოლოდ ბურთის გასაგორებლად. საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია საგანგებო ზომებს მიიღებს, რათა მატჩმა უექსცესებოდ ჩაიაროს. თუ რამ ხულიგნობა მოხდება, უკრაინას ოკენიში ცარიელი ტრიბუნების წინ დავუხვდებითო, აფრთხილებს ქომაგს საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია.

ათენის „კარაისკაკისის" სტადიონზე 33 ათასი მაყურებელი [illegible] და მატჩზე ალბათ [illegible] ბანელი თუ შეაღწევს — საბერძნეთისა და ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციებს შორის [illegible] ქომაგთათვის ბილეთები გამოყოფილი არ არის.

ჰანს-პეტერ ბრიგელის [illegible]

**დავით თავართქილაძე**

# უკაცრავად, თქვენ ნორმალური ხართ?

**ჩემო** ძვირფასო ქართულო საზოგადოებავ, უფრო სწორად კი, ამ საზოგადოების ნორმალურო ნაწილო! დღეს დიდი გამოცდის წინაშე ვდგავართ, რადგან სანაკრებო დონეზე პირველად ვმასპინძლობთ ისეთ საფეხბურთო მატჩს, რომელშიც სტუმარი გუნდი მარტო არ იქნება, მას მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი ეყოლება და ეს გულშემატკივარი შეეცდება, რაც შეიძლება ხმამაღლა გაამხნევოს თავისი ფეხბურთელები. ფაქტია: თურქ ქომაგებს დიდი გამოცდილება უმაგრებთ ზურგს, ჩვენ კი ჩვეულებრივ შეძახილებზე ვართ მწყრალად და ორგანიზებულ ფანურ სიმღერებსა და ზურნა-დუდუკზე ხომ საერთოდ წარმოდგენა არ გვაქვს. ასე და



ამგვარად, დღეს ჩვენ გველის სრულიად უცხო და მძაფრი განცდა — ჩვენს ქალაქში შეიკრიბებიან გადამთიელები, ჩვენი ინტერესის საწინააღმდეგო ღრიანცელს ატეხენ და თან, როგორც უკვე ვიეჭვეთ, ამ ღრიანცელით გვაჯობებენ.

კიდევ ერთხელ გავიმეოროთ რატომ? იმიტომ, რომ ქართველები თამაშს მეტწილად ჩუმად ვუყურებთ, ხმაურს და სკანდირებას ვიწყებთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოედნიდან ფეხბურთელები მოგვცემენ საამისო მიზეზს, ხოლო ჩვენი შეძახილებით ფრთაშესხმული მოთამაშე ჯერ კაცისშვილს არ უნახავს ან თუ უნახავს, ერთი-ორჯერ.

აი, სწორედ აქ იღებს სათავეს ჩვენი შიშის მიზეზიც. რას დაუპირისპირებს ქომაგობასა და, ღმერთმა ნუ ქნას, ფეხბურთშიც გამარჯვებულ თურქებს ადგილობრივი ბიჭ-ბუჭობა და ჭილყვავობა? დავიჯეროთ, ევროპული ინტელიგენტურობით იტყვის, რომ ფეხბურთი მხოლოდ ფეხბურთია და შეჯიბრება, თურქების ქომაგობიდან [illegible]

თუ გვინდა, კი ბატონო, დავიჯეროთ. თუ გვინდა, ისიც დავიჯეროთ, რომ საქართველოს პოლიციას დაპირისპირებული მხარეების დაშოშმინების უნარი აქვს.

ერთი სიტყვით, ჩემო ძვირფასო საზოგადოების ნორმალურო ნაწილო, ნეტამც ხვალ პირველივე შემხვედრი [illegible] და მეტყოდეს, შიშს დიდი თვალები ჰქონია, ხომ ხედავ, ყველაფერი რა შესანიშნავად დამთავრდაო.

დღეს კი ერთის თქმა თუ შეიძლება: ისევე, როგორც თქვენ, ამ ქვეყანაში მხოლოდ ცუდის ხილვა და მოლოდინი საშინლად მომბეზრდა და თუ...

**პაპუნა კედია**

**geo_geo_fan@hotmail.com**

# აი, მე კი მაინც წავალ!!!

## ეჰ, ნახირს რა უნდა სტადიონზე?

*გულახდილად რომ გითხრათ, ასეთი სიამოვნებით და ინტერესით დიდი ხანია, არ წამიკითხავს ჩვენს ფოსტაში მოსული წერილები. ეს გულმოკლული ხალხის წერილებია, მაგრამ მთავარი სხვა რამაა: ეს ნაღდი გულშემატკივრების წერილებია! იმათი, ვინც იცის, რა არის და როგორ უნდა გულშემატკივრობა...*



**LOUSY**: ძალიან გთხოვთ, რომ ეს მოთხოვნა ან დაბეჭდოთ, ან თამაშის ორგანიზატორებს მიაწვდინოთ ხმა. სტადიონზე ჰიმნი მელოდიის გარეშე გუნდს არასოდეს შეასრულებინოთ, მუსიკის გაჟღერებას სულ სხვა მუღამი აქვს და თან გუნდის ხმა საერთოდ არ ისმოდა.

რაც შეეხება თამაშს, წავაგეთ, მაგრამ თურქეთთან თამაშზე მაინც წავალ, იმიტომ რომ, თუ გულშემატკივარი ხარ, ევრეა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!

ჰიმნზე ძალიან გთხოვთ დაწეროთ, მუსიკა გვინდა, მუსიკა – ტანში ჟრუანტელმა, რომ დაგვიაროს!

**LONG70**: ხმისიოგდაწყვეტილი ვარ! გაშვებული გოლისთანავე ვცდილობდი, სექტორისა თუ სეგმენტის აყოლიებას და ბიჭების გამხნევებას, მაგრამ რად გინდა?! უცხოები კი არა, საკუთარი ძმაკაცები „დამიტყდნენ" — ზოგი შესვენებაზე, ზოგი მე-3 გოლის შემდეგ!.. ახლა ყველა გულგატეხილია და არავის სურს სტადიონზე წასვლა (ჩემ სახლობლოს ვგულისხმობ, ცხადია).

აი, მე კი მაინც წავალ!!! თუნდაც მარტოს მომიწიოს ტრიბუნაზე ჯდომა. თუმცა რატომ მარტოს? ჩემნაირი „ულმერთოდ" ოპტიმისტი, სულ მცირე, 10 000 მაინც შეიკრიბება!

**KAKICH**: თქვენი ერთგული მკითხველი ვარ 1995 წლიდან. აი, წერილის კი პირველად გწერთ, რადგან აღშფოთებული ვარ ჩვენი ნაკრების „გულშემატკივრების" ქცევით!!! ვესწრებოდი თამაშს და პირველად ვინატრე, რომ სახლში მეყურებინა და არ მენახა უმსგავსო ქცევები ვაიგულშემატკივრების შესრულებით. კი ბატონო, ნაავო გუნდმა, ცუდად ითამაშეს, იმედები დაგვისამარეს, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ თამაშის მერე ვაგინოთ ფეხბურთელებს. ეს ნაღდად არ ჩაითვლება კაი ბიჭობაში, როცა მორალურად მკვდარ ფეხბურთელებს დავუწყებთ დედის გინებას. დღეს არველაძემ გოლი რომ შეაგდოს, მაგარი ბიჭი იქნება, ჩვენ კი შეურაცყოფას ვაყენებთ ტრიბუნიდან.

მახსოვს, 1997 წელს „დინამოს" ბელარუსული გუნდი დაეჯახა უეფას თასზე და იმ გუნდში მოთამაშე ლევან ბერიშვილს გინება აუტეხეს ტრიბუნიდან. რაზეც მან პასუხი გასცა და ატყდა ერთი ამბავი. მოდით, ხალხო, ნუღარ დავუშვებთ ამ პრეცენდენტის გამეორებას. წავიდეთ სტადიონზე და ვუქომაგოთ ჩვენ საყვარელ გუნდს და კიდევ ერთს დავამატებდი: ქვეყნის უბილეთო შეძვრა სტადიონზე და, ესე იგი, მე თუ 10 ლარი მივეცი ბილეთში რა, მდიდარი ვარ?! მოკლედ, როცა ქართველი ხალხი ნამდვილ ქომაგობას ისწავლის მერე იქნება საინტერესო სტადიონზე წასვლა. უეფამ კი ჯობია 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მოგვცეს, რომ ხალხმა გაიაზროს, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება.

P.S. ხშირი რომ გახადოთ ეს რუბრიკა, კარგი იქნებოდა. ხალხმა და ნამდვილმა გულშემატკივრებმა ერთმანეთს თავისი მოსაზრებები რომ გამოუხატონ თქვენი გაზეთის მეშვეობით.

**MEZVRO**: წინ თურქეთთან მატჩია. ახლა დრო არაა გაბუტვის და ნაკრებისთვის ზურგის შექცევის. რა ვუყოთ, რომ მოწინაალმდეგედ გარდა თურქეთისა, აგერ, თავად საკუთარი ფედერაცია გაგვხდომია, რომელიც იმის ნაცვლად, რომ ხელი შეუწყოს გულშემატკივრის სტადიონზე მისვლას, ბილეთის სიძვირით თუ არაორგანიზებულობით ათას პრობლემას გვიქმნის უბრალო გულშემატკივარს. მიუხედავად ყველაფრისა, არ შეიძლება ახლა გულხელის დაკრეფა, სახლში წყნარად დაჯდომა და მოვლენების მშვიდად ცქერა. ვისაც აქვს ბილეთის ყიდვის თავი, სტადიონზე უნდა მოვიდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ქართველზე მეტი თურქი არ აღმოჩნდეს ტრიბუნაზე და ნაკრებს საშინაო მატჩი გასვლით მატჩად არ გადაექცეს.

იმ დროს მომასწროს ღმერთმა, სტადიონი ერთხმად ამღერებული მენახა მიუხედავად შედეგისა და ეს გათიშულობა ტრიბუნასა და ფეხბურთელებს შორის აღარ იყოს. დავიდეს ჩვენს ცნობიერებამდე, რომ მარტო 11 კაცი კი არ აგებს თამაშს, არამედ ჩვენც, თუნდაც არაპირდაპირი მონაწილეები მატჩისა.

მატჩზე მივდივარ, არ მახსოვს არაფერი. ჩემთვის არ აქვს აზრი, აქამდე რა იყო, ერთად დამდგარი ქართველების ხილვა მწყურია. აღარაა ის დრო, ომებს ხმლის ქნევით რომ ვიგებდით ქართველები. ახლა ჩვენი დიდგორი ჩვენი ნაკრების თამაშებია...

**SUPERMARIO72**: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში არის ხალხი, ვისაც ერთი სული აქვს, ჟირესს ფეხი დაუცდეს. ჟირესი ძვირი ჯდება. მისი ხელფასი 5-6 ქართველ მწვრთნელს ეყოფა. ასეთია ფედერაციის ერთი სასტავის პოზიცია. და ეს ალბათ, თქვენ, სარბიელელებმაც იცით და გულშემატკივარსაც გააგებინეთ რა, ძალიან გთხოვთ, თორემ კვლავ საშას და ვოვას ხელში აღმოვჩნდებით. ნაკრების ფეხბურთელებს კი ძალიან ვთხოვ, საბერძნეთთან მარცხი დაივიწყონ და თურქეთს მოუგონ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საშას, ვოვას და ჩოლარიას საქმეს ნუ გააკეთებთ!!!

**A.METREVELI**: რა არის იცით ჩემო კარგებო, ტრიბუნებზე მყოფთა მინიმუმ 40% არაკაცი იყო. არაკაცები გამარჯვებას არ იმსახურებენ. ის, ვისაც შეუძლია ეგეთი სიტყვებით მოიხსენიოს ცალკეული ფეხბურთელები თუ მთლიანად ეროვნული ნაკრები, გამარჯვებას არ იმსახურებს.

ამ არაკაცების საქციელზე დღემდე თვალს ვხუჭავთ. ასე არაფერი გვეშველება. ჩვენი ნაკრები გულშემატკივარს ათი თავით სჯობს.

ეჰ, ნახირს რა უნდა სტადიონზე?

**ILO_2**: გაუმარჯოს „სარბიელს"! ერთს ვიტყვი: დაივიწყეთ საბერძნეთიო და, როგორ დავივიწყოთ, როცა მაგ თამაშის შემდეგ თითქმის აღარ გვაქვს შანსი გერმანიაში წასასვლელად. კაი, ვცდილობთ დავივიწყოთ, დღეს მთელმა ნაკრებმა თავი უნდა დადოს, ისე უნდა ითამაშოს, რომ მაყურებელი 20 წუთით ადრე არ გავიდეს სტადიონიდან.

მე მაინც მგონია, რომ თურქეთს მოვუგებთ. აბა, ყველა სტადიონზე წავედით!

**LASHA**: გამარჯობა „სარბიელს". გამოსვლის დღიდან თქვენი მკითხველი ვარ და გადავწყვიტე პირველად მომეწერა. ჯერ საბერძნეთთან თამაშს შევეხები ორიოდ სიტყვით. პირველ რიგში იმის თქმა მინდა, რომ საქართველოს ნაკრებმა გამაწბილა. არა იმიტომ, რომ წააგო, უბრალოდ, ვერ დავინახე მეორე ტაიმში ბრძოლა ან სურვილი მაინც ბრძოლისა. მოვუწოდებ ნაკრების ფეხბურთელებს, იბრძოლონ და ხალხი, დამერწმუნეთ, 20 წუთით ადრე სტადიონიდან არ წავა.

და კიდევ ერთი, არ გეგონოთ რაღაც ილუზიებს ვიქმნი, მარტო ჩემი აზრი არ არის, მართლა ბედი არ გვაქვს, რადგანაც დარწმუნებული ვარ, შოთას რომ ის ბურთი გამოეტანა საჯარიმოდან, ამ თამაშს არ წავაგებდით და 70% მგონია, რომ მოვიგებდით. შოთას მე ვუხდი ბოდიშს პირადად, იმ 100 კაცის ვანდალიზმი გულთან არ მიიტანოს, ვის არ მოსვლია. მე კი მრცხვენია, რომ ისინიც ქართველობაზე დებენ თავს.

თურქეთს რაც შეეხება, რატომღაც მგონია, რომ მოვიგებთ. იმიტომ, რომ თურქები ბერძნებთან ამ ეტაპზე ახლოს ვერ მივლენ და თუ ბრძოლა იქნება (ჩვენი მხრიდან, რა თქმა უნდა), ტაქტიკურ პატარა სიახლეებთან ერთად, 8 ქულა გაგვიხდება. და თუ გიჟად არ ჩამთვლით, შემდეგ უმაყურებლო ალბანეთთან მოგებაც შეიძლება, ამის შემდეგ 2 თამაში გვაქვს სადაც შეიძლება 6 ქულის აღება. ეგ შენი 17 ქულა, პლუს 3 ყაზახეთთან და დანია საბერძნეთთან ორ გასვლით თამაშში 1 ქულაც თუ ავიღეთ, შეიძლება მეორე ადგილზე გავძვრეთ.

ასე რომ გული, ჯიგარი და ბრძოლა, დაკარგული ჯერ არაფერია და დამერწმუნეთ, მთელი საქართველო თქვენს ლოცვაში იქნება.

მაშ შევუდგეთ ბიჭებო! ჩვენ თქვენს გვერდით ვართ! მხოლოდ გულიანად! ჯიგრულად! ძველქართულად!

**AKA_MICELASHVILI**: ჩემო საქართველოვ! შენ ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენი გული და სული ხარ. შენ გვერდით ქართველების უმრავლესობა დადგება. ქუდზე კაცი სტადიონზე! ოღონდ ის, ვინც პირადი პრობლემებით დამძიმებული ბოღმის დასანთხევად მოწინააღმდეგე გუნდის გინებაში ატარებს 90 წუთს, არ გვინდა. არ გვინდა ასეთი ნახევარ-კაცი ნახევარ-ქომაგი.

ერთსაც დავძენ: კაცი, რომელიც ბოთლის სასროლად მიდის სტადიონზე, შეგონებით ვერ დააჩამუსებ. მათთან ბრძოლის ერთადერთი გზა არსებობს — ვისაც წესრიგის დაცვა ევალება, მზესუმზირის ჭამის მაგიერ, წესრიგი უნდა დაიცვას. მაგრამ ეგეცაა, რომ ამას ყოველი მატჩის მერე ვიძახით, საშველი კი არ ჩანს.

ჩანს, შეგონება არც წესრიგის დამცველებზე ჭრის.

**WEB-ოსტატი გუარა**

**geo_geo_fan@hotmail.com**

# რა ღირდა ღორის ხორცი თურქეთში 1994 წელს?



„იმპერატორი“ ფატიჰ თერიმი

ჩინეთი, იაპონია, სენეგალი, სამხრეთ კორეა — რა აერთიანებს ამ ოთხ ქვეყანას? თურქეთის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ქვეყნის გუნდს მოუგო და ბრინჯაოს დაეუფლა. ჯგუფში ბრაზილიასთან მარცხისა და კოსტა რიკასთან ფრის შემდეგ ჩინელების ძლევით თურქები მერვედფინალში გავიდნენ, სადაც ჩემპიონატის თანამასპინძელ იაპონელებს აჯობეს. მეოთხედფინალში იმ სენეგალს მოუგეს, რომელმაც საფრანგეთი დასცა, ხოლო ნახევარფინალში კვლავ გადაეყარნენ ბრაზილიელებს და მათთან მეორედ დამარცხდნენ. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში სამხრეთკორეელებს სძლიეს და თურქეთის ისტორიაში უდიდეს წარმატებას მიაღწიეს — ბრინჯაოს მედლები ერგოთ.

აქ შეიძლება ლაპარაკი ერთგვარ გამართლებაზე, რადგან ჩინეთი, იაპონია, სენეგალი და სამხრეთ კორეა მსოფლიო ბობოლებს არ მიეკუთვნებიან, თუმცა ამით თურქთა გამარჯვებას დაკნინება არ ეგების...



ბაჩო კომიტაძის ფოტო

სანაკრებო თურქული ფეხბურთის ბრინჯაოს მეფე შენოლ გიუნეში

## ოცდამეერთე საუკუნის ოსმალეთი

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრები მესამედ ხვდება მსოფლიოს ბრინჯაოსან თურქეთს. მეზობლები პირველად 2002 წლის აგვისტოში ტრაპიზონში შეხვდნენ ამხანაგურად. მაშინ სამშობლოში გმირებად შერაცხულმა თურქმა ფეხბურთელებმა გიუმაყ ქომაგთა ტაშ-ფანდურის თანხლებით ალექსანდრე ჩივაძის გუნდს 3:0 მოუგეს.

2004 წლის გაზაფხულზე შენოლ გიუნეში ერსუნ იანალმა შეცვალა. შარშან სექტემბერში მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში ტრაპიზონში იანალის თურქეთი ჟირესის საქართველოსთან ფრეს (1:1) დასჯერდა.

### ათი წლის წინ

ჯერ კიდევ ათი წლის წინ თურქეთის ნაკრები ისეთივე სასურველი მეტოქე იყო ძლიერი გუნდებისთვის, როგორიც დღეს, მაგალითად, ლიხტენშტაინი და სან მარინოა. ასევე იყო საკლუბო დონეზეც: სტამბოლურ ვეშაპებს — „გალათასარაის“, „ფენერბაჰჩეს“ და „ბეშიქთაშს“ — ევროპული ბობოლა კლუბები იოლად უმკლავდებოდნენ, მაგრამ მე-20 საუკუნის მიწურულს ვითარება ნელ-ნელა შეიცვალა.

სტამბოლური ვეშაპები თურქეთის ჩემპიონატში ძალიან ადვილად უგებდნენ სუსტ მეტოქეებს და ჩემპიონობისთვის ბრძოლაც ძირითადად ამ სამეულს („გალათასარაი“, „ფენერბაჰჩე“, „ბეშიქთაში“) შორის მიმდინარეობდა. ხანდახან მათ დავაში „შავი ზღვის ქარიშხალი“ ანუ „ტრაბზონსპორი“ თუ ჩაერეოდა.

შინაურ სარბიელზე გამარჯვებით დანაყრებულმა სტამბოლელებმა თვალი ევროპას მიაპყრეს, მაგრამ ევროდონის მისაღწევად უკეთესი ფეხბურთელები და მწვრთნელები იყო საჭირო. ამიტომაც დაიწყეს ლეგიონერებისა და უცხოელი მწვრთნელების მიწვევა.

გარდა ამისა, რაც ყველაზე მთავარია, ფულს ბავშვთა ფეხბურთის განსავითარებლად სწორად ხარჯავდნენ და, ბუნებრივია, ამას უშედეგოდ არ ჩაუვლია. თურქმა მწვრთნელებმა ბევრი რამ ისწავლეს უცხოელი კოლეგებისგან და ეს ცოდნა უნარიანადაც გამოიყენეს.

მაგალითად, „იმპერატორად“ მონათლული ფატიჰ თერიმი თურქეთის ნაკრებში ზეპ პიონტეკის თანაშემწედ მუშაობდა და მისგან ბევრიც ისწავლა. მერე კი ნაკრები ჩაიბარა და ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე გაიყვანა.

იმ დროისთვის თურქეთში წამოიზარდა თაობა, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ევროპული ფეხბურთის გაკვეთილებზე აღიზარდა.

1996 წელს ფატიჰ თერიმი „გალათასარაის“ მწვრთნელად დანიშნეს, ხოლო თურქეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მუსტაფა დენიზლიმ წაიყვანა. თურქებმა ჯგუფში სამივე თამაში ისე წააგეს, გოლი არ გაუტანიათ, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ, ბელგია-ჰოლანდიაში უკეთესი გუნდი ჩაიყვანეს და მეოთხედფინალშიც კი გავიდნენ. ეს უკვე აშკარა პროგრესი იყო. თან 2000-ის გაზაფხულზე ფატიჰ თერიმის „გალათასარაიმ“ ლონდონის „არსენალი“ უეფას თასის ფინალში დაამარცხა და პირველი თურქული კლუბი გახდა, ევროთასებზე ასეთ წარმატებას რომ მიაღწია. ერთი სიტყვით, თურქეთის საკლუბო და სანაკრებო ფეხბურთის დონემ სწორი პოლიტიკისა და საქმისადმი ჭკვიანური მიდგომის წყალობით შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰალუკ ულუსოიმ ნაკრები შენოლ გიუნეშს ჩააბარა და აქედან დაიწყო ნაკრების „აყვავება“. გიუნეშმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში „ტრაბზონსპორის“ თავკაცი იყო, საკლუბო დონეზე ვერაფერს მიაღწია, მაგრამ ეროვნულ გუნდში გაიფურჩქნა... გუნდში გაილაღა.

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში თურქები მეორე ადგილზე გავიდნენ. არადა, ბოლოსწინა ტურის მატჩში შინ შვედებთან რომ მოეგოთ, პირველ ადგილს და მუნდიალის საგზურს ინაღდებდნენ. შვედებთან სტამბოლში დამარცხდნენ, რასაც შენოლ გიუნეშის უსამსახუროდ დატოვება მოჰყვა, მაგრამ ტრაპიზონელი არ გაუშვეს. ბოლო ტურში საუდის არაბეთის დაუძლევლად ძლევამოსილი გოლი და პლეი ოფის გზა ... ავსტრიელებს ... შემდეგ ... და ... ბოლო ... თურქეთის ფეხბურთის მომავალზე ... სწორად ... შეუძლია.

ავსტრიელებს სტუმრად 1:0, შინ კი 5:0 სძლიეს და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს.



ილჰან მანსიზის და დავალა უმითის თურქეთმა კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოანათა



ბაჩო კომიტაძის ფოტო

ბოლო ათწლეულის საუკეთესო თურქი „ბოსფორის ბუღად“ ცნობილი ჰაკან შუქური

### ღორის ხორცი

ტრაპიზონი, 1994 წლის შემოდგომა. ჩაიხანაში შეკრებილი თურქები ჩაის ხვრეპენ, სიგარეტს აბოლებენ და კრიალოსნებს აწკაპუნებენ.

ტელევიზორში უეფას თასის მატჩია — „ფენერბაჰჩე“ ფრანგულ „კანს“ მასპინძლობს. პირველი შეხვედრა სტუმრად 0:4 წააგეს და შინ მეტოქის განადგურებას აპირებენ.

თურქი ქომაგები ნელ-ნელა კარგავენ ამრავალფეროვნებულ „ფენერის“ კარში გოლი გოლზე გადის. „კანმა“ 5:1 მოიგო და ორი მატჩის ჯამში 9:1 გაიმარჯვა.

ჩაიხანიდან გაგიჟებული ქომაგი გამოვარდა და დაიღრიალა: „როდის ისწავლიან ჩვენები ფეხბურთის თამაშს? რატომ გვიგებენ ყველანი ასე იოლად? არა, არა! ღორის ხორცის ჭამა თუ არ დაიწყეს, ფეხბურთს ვერ ისწავლიან!“

...რაც ქართველებს ღორის მწვადში ფული დაუხარჯავთ, ფეხბურთის განვითარებისთვის რომ დაეხარჯათ ...

...გადაბრუნდე, არ დაიწყონ მთელი რიგით მწვადი და ისწავლონ ფეხბურთი თურქებისგან.

**რომან თურქია**

თბილისი. 29 მარტი. 16 საათი. ეროვნული. 7 000 მაყურებელი

## საქართველო U21 0:2 თურქეთი U21

0:1 კაბა (7), 0:2 თოფუზი (72)

**საქართველო:** ბობლიაშვილი, ჭილაძე, ციმაკურიძე, ჩიკვილაძე, ელიავა, ბესარაშვილი, ლვინიანიძე, ხოჯავა (გ. ნუგ. ჭელიძე 83), გეწაძე (მარცვალაძე 69), გ. ნოდ. ჭელიძე (ებანოიძე 83), ს. იაშვილი

*სათადარიგონი:* რევიშვილი; ლომიძე, კაშია, განუგრავა

**მწვრთნელი:** გოჩა ტყებუჩავა

**თურქეთი:** ელმასი, კორა, თათანი, თურანი (გუნგორი 37), იოლდასი, ერთოღლუ, თოფუზი, კოჩაკი, კაბა, საბრი (ფირაში 84), იბრაჰიმ აკინი (ბულუთი 78)

*სათადარიგონი:* უნლუ, ალთინი, მუსლუ, კისა

**მწვრთნელი:** რაშით ჩეთინერი

**გაფრთხილება:** ციმაკურიძე (18), გეწაძე (65), თოფუზი (89)

**გაძევება:** მარცვალაძე (75)

**მსაჯები:** კონსტადინ კონსტადინოვი; ვენცისლავ გავრილოვი, დეტელინ ბეიალტზალიევი; რადან მირიანოვი (ყველა ბულგარეთი)

**უეფას დელეგატი:** ვლადიმირ საინი (სლოვენია)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ნანობაშვილი

# წვალება

## მოერიდეთ კაპიტნის სამკლავურს

**ნამატჩევს** ერთი ხანშიშესული გულშემატკივარი ცხარობდა, თურქებმა ფეხბურთი როგორ უნდა მოგვიგონ, როცა 15-20 წლის წინ თბილისის „დინამო" მათ კლუბებთან თამაშს არ კადრულობდაო. ასეთ ლაპარაკს ბევრგან გაიგონებთ, მაგრამ ხომ არ გგონიათ, ბატონებო, რომ ეს უკვე ვადაგასული მოსაზრებაა? რატომ არ უნდა მოგიგონ, როცა შენზე უკეთესი (თან რამდენად) საფეხბურთო მეურნეობა აქვთ, როცა ბავშვთა ფეხბურთს ზედ აკვდებიან, როცა მათი ახალგაზრდები „ფენერბაჩესა" და „გალათასარაიში" თამაშობენ, ჩვენი ნაკრების კაპიტანი კი კვიპროსული „ანართოსისის" ძირითადშიც ვერ ხვდება?

არადა, ყველაფერ ამის გათვალისწინებით, თურქ 21-წლამდელებს გასაგიჟებლად არ უთამაშიათ, უბრალოდ, მასპინძელთა საჩუქარი შეირგეს. საბერძნეთთან ჯახის მსგავსად, ჩვენმა ახალგაზრდებმა ისევ მე-7 წუთზე გაუშვეს გოლი — საბრის პასმა ქართველთა დაცვა აჭრა და პირისპირ დარჩენილმა კაბამ მინდია ბობლიაშვილს სანაკრებო დებიუტი ჩაუმწარა.

ტყებუჩავას ბიჭები გონს მოვიდნენ, მარცხენა ფლანგზე ზაალ ელიავამ ჩართო სიჩქარე, მაგრამ თურქებმა უკანა ხაზი გააჩინურკედელეს და ჩვენებიც შორეულ დარტყმებზე გადავიდნენ. ჯერ საყრდენ ნახევარმცველად მოთამაშე მათე ლვინიანიძემ გაისროლა, მერე სანდრო იაშვილმა 25-30 მეტრიდან გაუშვა ყუმბარა, მაგრამ მიზანს ერთიც ვერ მოხვდა. ერთი კია, ოსმალოთა მეკარე ელმასი ბრინჯივით დაბნეული ჩანდა და კინაღამ ბედსაც გვწია.. ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა, საკუთარი კარისკენ წაიღო და ზედ ხაზთან ძლივს გააშეშა. მსაჯი შორს იდგა და ალალბედზე არ ჩასტვინა, თორემ რაღაც ისე ჩანდა, ბურთს გადაკვეთილი უნდა ჰქონოდა ხაზი.



თურქებმა ხიფათი იყნოსეს, საკუთარ საჯარიმოში ჩაიკეტნენ, ქართველებმაც ჯიქურ შეუტიეს და ეროვნული ნაკრების უხეირო ზნეჩვეულებისგან განსხვავებით, პირველი ტაიმის მიწურული ღონივრად ჩაატარეს. სანდრო იაშვილი ყველა მაღალ ბურთს იგებდა, მაგრამ ორი მცველი აწებებულივით დასდევდა და გასაქანს არ აძლევდა. სანდროს მეწყვილე ჭელიძე კი მხოლოდ ერთი დრიბლინგით დაგვამახსოვრდა და ისიც თურქულ მარწუხებში ჩაიკარგა.

მეორე ტაიმში გოჩა ხოჯავა ათამაშდა და ჩვენების შეტევებიც მეტწილად მარჯვნიდან იწყებოდა, საპირისპირო ფლანგზე კი ისევ ელიავა თუ გაიელვებდა, თორემ რევაზ გეწაძე მთლად შეუმჩნეველი იყო. ყველაზე კარგი მომენტი ქართველ 21-წლამდელებს მე-60 წუთზე გაუცუდდათ — ხოჯავას ჩახვეული საჯარიმო მეკარემ ძლივს მოიგერია, დამატებაზე „ნოდარიჩმა" ჭელიძემ, მოერიდა თუ რა იყო, ფეხი გაუცაცუნა ბურთს. საპასუხო შეტევისას კი თურქთაგან ყველაზე აქტიური აკინ იბრაჰიმი პირისპირ შეეყარა ბობლიაშვილს, მაგრამ კარს ააცილა და ეს, თურმე მეორე გოლის სიგნალი ყოფილა — თოფუზმა შორიდან მოხდენილად დაარტყა, ბობლიაშვილს „ჩაეძინა" და 0:2.

ჯერ კიდევ 0:1-ზე იკითხებოდა, რომ ტყებუჩავას ოთარ მარცვალაძე უნდა გამოეყვანა. ვიტჯორჯიელი ფორვარდი მკვირცხლად კი შევარდა მინდორზე, მაგრამ ერთი მარჯვენაფლანგური გარღვევის მეტი ვერაფერი მოასწრო: თავად მოისწრაფა მინდვრიდან გასვლა, იოლდასს ლამის ფეხი მოამტვრია და წითელი ბარათი „მოინადირა". ტყებუჩავას ნაკრების „ძველმა სენმა" ისევ შეგვახსენა თავი.

„საფინალო სპურტისას" ბესარაშვილი ორჯერ ურტყამდა თურქთა კარისკენ, მაგრამ სიზუსტე ვერ მოზომა, მერე იაშვილსაც ნანატრი თავური გამოუვიდა, თუმც მეკარემ აჯობა, აქეთ კი ბობლიაშვილმა არ გაატანინა თათანს.

საბოლოოდ ასეც მორჩა, ქართველმა 21-წლამდელებმა პირველად როდი წააგეს, მაგრამ დასანანი ისაა, რომ გუნდი პროგრესის გზას ვერაფრით დაადგა. ისევ მოშლილი რგოლები, შეუთანხმებლობა, ქაოტური შეტევები და კიდევ გუშინ ვერც ერთმა ჩვენიანმა თამაშის საკუთარ თავზე აღება ვერ შეძლო — ამას იაშვილისგან ან ხოჯავასგან ველოდით, მაგრამ...

*რაშით ჩეთინერი:* „მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. ისევე, როგორც ალბანეთთან, ამჯერადაც შეტევებზე გავაკეთეთ აქცენტი და ერთის მხრივ გაგვიმართლა, რომ სწრაფი გოლი გავიტანეთ. საქართველოს უკვე მესამედ ვეთამაშეთ და ნაღდად არ მეგონა, რომ ასე იოლად მოვიგებდით".

*გოჩა ტყებუჩავა:* „მთლიანობაში ცუდად არ გვითამაშია. ბიჭებმა იბრძოლეს, თამამად უტევდნენ, ვერავის გამოვარჩევ. ისე კი, იაშვილმა დღეს უფრო ნაკლებად იმუშავა, ვიდრე ბერძნებთან. სანდროს შეცვლაზე ვიფიქრე, მაგრამ მასსავით თავით კარგად მოთამაშე ფეხბურთელი ბევრი არ გვყავს. მარცვალაძე შემეცოდა — არ ვიცი, რატომ გაწირა ასე მსაჯმა, ყვითელი ბარათიც საკმარისი იქნებოდა. ბობლიაშვილს არ ვემდური, მომენტებში ყოჩაღად თამაშობდა. აბა, შეყრილაძე როგორ გამოვიძახო, როცა „დინამოს" მესამე თუ მეოთხე მეკარეა?

— იაშვილის, ხოჯავას და ბესარაშვილის თამაში დღეს ტრავმის გამო სათუო იყო. ერთსაც დავაკვირდი, ჩვენს გუნდში კაპიტნად ვისაც ვნიშნავ (ხოჯავა), იორგუნება და ვერ თამაშობს. არ ვიცი, ლამის მე გავიკეთო სამკლავური.

— ამ გუნდიდან ეროვნულ ნაკრებში თამაში რამდენიმე კაცს შეუძლია. ბიჭებს არ ვეუბნები, მაგრამ ალენ ჟირესს 2-3 ფეხბურთელი ძალიან მოსწონს".

**უკრაინა 0:1 დანია**

**საბერძნეთი 2:0 ალბანეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია. | 7 | 6 | 1 | 0 | 17:7 | 19 |
| თურქეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:3 | 14 |
| საბერძნეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:5 | 11 |
| უკრაინა | 7 | 3 | 1 | 3 | 11:6 | 10 |
| ალბანეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | 5 |
| საქართველო | 6 | 1 | 2 | 3 | 5:14 | 5 |
| ყაზახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:13 | 0 |





*მალის დედაქალაქ ბამაკოში, ამ აფრიკული ქვეყნისა და ტოგოს ნაკრებების შეხვედრის მიწურულს გახელებული მაყურებელი ჯერ მოედანზე გადავიდა, შემდეგ კი ქუჩებს მოედო და საშინელი ამბავი დაათია ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდა...*

# ძირს პრეზიდენტი ტუმანი ტურე!
## ფეხბურთმა ხალხი აზარალა

**თავისი** საქმის გაკეთება სცადა პოლიციამაც, რომელსაც 40 ათასი კაცის დაშოშმინება და ისევ ტრიბუნებზე არეკვა ცხადია, არ გამოუვიდა, მაგრამ საბოლოოდ რომ დათვალა, დაპატიმრებულთა რაოდენობა მაინც „საპატიო" გამოუვიდა — 81.

არეულობების შედეგად, ბევრი პოლიციელი და „დემონსტრანტი" დაშავდა, თუმცა ყველაზე საშინელი, მატერიალური ზარალი გამოდგა. მას ქალაქის პოლიციის თავმა არანორმალურად დიდი უწოდა.

ამ ყოველივეს მიზეზი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ფეხბურთი იყო. კერძოდ კი ის, რომ მალის გუნდმა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის აფრიკის შესარჩევ ჯგუფში, შინ, ტოგოსთან 1:2 წააგო, თანაც მეორე გოლი 90-ე წუთზე გაუშვა. მაგრამ, როგორც შემდეგ, ქუჩაში გაირკვა, მოსახლეობის აღშფოთების მიზეზთა მიზეზი ქვეყნის პრეზიდენტ ამადუ ტუმანი ტურეს მმართველობით უკმაყოფილება და უკიდურესი ეკონომიკური გასაჭირი ყოფილა.



ბამაკოს „26 მარტის" სახელობის სტადიონზე და სტადიონსგარეთ მომხდარმა არეულობამ უამრავი აფრიკელი დაასახიჩრა

ასე და ამგვარად, ბამაკოში დაიწვა და დაინგრა უამრავი კაფე, ბარი და რესტორანი, თუმცა, საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების გარდა, განადგურდა სხვა ტიპის ორგანიზაციების ოფისებიც — მაგალითად, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შტაბი, ორი სპორტდარბაზი. ბუნებრივია, თავად 26 მარტის სახელობის სტადიონიც, სადაც მალის და ტოგოს მატჩი გაიმართა და სხვა.

**პაპუნა ძიძია**

# ბაიერნი ნახევარფინალში უკვე გასულა
## მა, ჩელსის რაღა?



ფელიქს მაგათმა თქვა, ჩემი „ბაიერნი" ახლა ძალიან მაგარ ფორმაშიაო

**მომავალ** ოთხშაბათს, ლონდონში, „ჩელსი" მიუნხენის „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში უმასპინძლებს.

„ბაიერნის" მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა თამაშამდე ერთი კვირით ადრე განაცხადა, ამ წყვილში ჩემი გუნდია ფავორიტიო. მისი აზრით, ბუნდესლიგის ლიდერი ამჟამად უკეთეს ფორმაშია, ვიდრე პრემიერლიგის ყოჩი.

„ძალიან კარგია, რომ პირველი მატჩი სტუმრად გვიწევს. მე ვნახე, როგორ ეთამაშა „ჩელსი" „ბარსელონას" და თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. „ბაიერნის" უპირატესობა ისაა, რომ ამ ზამთარს, ბუნდესლიგაში საკმაო შესვენება გვქონდა, რაც ინგლისში არ ყოფილა. უბრალოდ, შეუძლებელია, „ჩელსი" ახლაც ისეთივე ფორმაში იყოს, როგორაც სამი თვის წინ გახლდათ. ჩემი აზრით, ისინი ამ დროისთვის ფიზიკურად მოსუსტდნენ, „ბაიერნი" კი ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაშია და ორრაუნდიანი მატჩის ბედს სწორედ ეს ფაქტორი გადაწყვეტს" — თქვა ფელიქს მაგათმა.

მაგათის სიტყვებზე, რომ იტყვიან, კომენტარიც ზედმეტია.

ვნახოთ...

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფლორენციაში ნედვედი ბრუნდება
## ჩვენ იუვენტუსი გვქვია

**ტურინის** „იუვენტუსს" პაველ ნედვედი უბრუნდება. ჩეხმა უკვე სრული დატვირთვით ივარჯიშა და მინდორზეც სავარაუდოდ, მომავალ უქმეებზე გავა.

ამასობაში, „ბებერი ქალბატონის" მეორე ნახევარმცველი მანუელე ბლაზი ჩემპიონთა ლიგისა და სკუდეტოს მოგებაზე ფიქრობს. მისი აზრით, გუნდს დუბლის შესრულების უნარი და ძალა შესწევს.

გუნდის ფრანგი ფორვარდი დავიდ ტრეზეგე კი საკუთარი თამაშით უკმაყოფილოა და ჩაგდებულ სეზონზე წუწუნებს.

მოკლედ, ახლა თითოეულზე კონკრეტულად ანუ ბოლო ტურინული ცხელ-ცხელი ამბები გავარჩიოთ.

ზემოთაც გითხარით, ტრავმებით გაწამებული პაველ ნედვედი წლეულს საბოლოოდ მომჯობინდაო. „იუვეს" ექიმების თქმით, ჩეხი მომავალ შაბათს „ფიორენტინასთან" სათამაშოდ მზად არის, მაგრამ არა მთელი 90 წუთის განმავლობაში. სამაგიეროდ, ჩეხი ნახევარმცველი ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპულთან" მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება.

დამდეგ უქმეებზე ფლორენციაში ტურინელებს ძალიან მნიშვნელოვანი და მძიმე მატჩი ელით. ნედვედის დაბრუნების შემდეგ, სავარაუდოდ გუნდი ისევ ძველ და ნაცად სისტემას — 4-4-2 ირჩევს, თუმც არ არის გამორიცხული, ფაბიო კაპელომ გარკვეულ ექსპერიმენტსაც მიმართოს და ბოლო დროს დამკვიდრებულ სქემაში (4-3-3) ნედვედის ადგილიც იპოვოს.

„ფიორენტინასთან" შეხვედრაზე ნერვიულობს მანუელე ბლაზიც. ამ უკანასკნელის აზრით, „იუვენტუსმა" ეს მატჩი აუცილებლად უნდა მოიგოს. „პერუჯასა" და „პარმას" ყოფილ ნახევარმცველს სჯერა, რომ ტურინელებს მიმდინარე სეზონში დუბლის შესრულების კარგი შანსი აქვთ და მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

„ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ფლორენციიდან სასურველი ხელდამშვენებულნი წამოვიდეთ, სხვა შედეგი დაუშვებელია. მართალია, ჩემპიონთა ლიგაში ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის, მაგრამ ძალების დაზოგვა არ ღირს, ყველა ტურნირი თანაბრად მნიშვნელოვანია და ყველა მათი მოგება შეგვიძლია. ვიცი, რომ ძალიან ბევრის აზრით, „მილანი" ჩვენზე უკეთესი გუნდია და მას დუბლის შესრულების უფრო რეალური შანსი აქვს, მაგრამ მინდა ყველას შევახსენო, რომ ჩვენ „იუვენტუსი" გვქვია და ეს არ უნდა დავივიწყოთ" — განაცხადა [illegible].

ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ, მინდორზე დაბრუნებული დავიდ ტრეზეგე კი ნელნელა ფორმის აღდგენას ვერ ახერხებს. მადრიდის „რეალის" კარში გატანილი უმნიშვნელოვანესი გოლის თუ არ ჩავთვლით, ფრანგს ბევრიც არაფერი გამოსდის. შეჯიბრებებში საფრანგეთის ნაკრების მატჩში მან უამრავი საგოლე შანსი ვერ გამოიყენა, რითაც ძალიან დამწუხრებულია.

დავიდ ტრეზეგე: „ჩემი თამაშით ძალიან უკმაყოფილო ვარ და ჩემს მიმართ გამოთქმულ კრიტიკასაც ვიღებ, რადგანაც მართლაც ვიმსახურებ. სასურველ ფორმაში ჯერ ვერა და ვერ ჩავდექი, მაგრამ ცდას არ ვაკლებ და თავდაუზოგავად შრომას ვაგრძელებ. იმედია, მალე ყველაფერი გამოსწორდება, მაგრამ იმის თქმა უკვე შემიძლია, რომ ეს ჩემთვის შავი, უიღბლო სეზონია".

**გიორგი კაკაბაძე**



### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
ტრუა 1:0 კლერმონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 30 | 16 | 6 | 8 | 43:29 | 54 |
| ტრუა | 30 | 16 | 6 | 8 | 49:37 | 54 |
| ლე მანი | 30 | 16 | 5 | 9 | 37:24 | 53 |
| სედანი | 30 | 13 | 8 | 9 | 30:28 | 47 |
| შატორუ | 30 | 10 | 15 | 5 | 39:30 | 45 |
| ბრესტი | 30 | 11 | 12 | 7 | 30:27 | 45 |
| ლავალი | 30 | 13 | 6 | 11 | 35:33 | 45 |
| დიჟონი | 30 | 10 | 12 | 8 | 32:27 | 42 |
| მონპელიე | 30 | 11 | 9 | 10 | 31:29 | 42 |
| გრენობლი | 30 | 11 | 9 | 10 | 37:36 | 42 |
| გენიონი | 30 | 10 | 12 | 8 | 25:26 | 42 |
| გენგამი | 30 | 11 | 7 | 12 | 39:37 | 40 |
| ამიენი | 30 | 9 | 10 | 11 | 30:32 | 37 |
| ლორიანი | 30 | 10 | 7 | 13 | 35:39 | 37 |
| რეიმსი | 30 | 8 | 11 | 11 | 26:40 | 35 |
| ანჟე | 30 | 7 | 12 | 11 | 29:35 | 33 |
| ლე ავრი | 30 | 8 | 7 | 15 | 19:31 | 31 |
| კლერმონი | 30 | 6 | 12 | 12 | 27:30 | 30 |
| კრეტეი | 30 | 6 | 11 | 13 | 28:33 | 29 |
| ნიორი | 30 | 6 | 7 | 17 | 24:42 | 25 |

### ჰოლანდია

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
ვოლენდამი 2:1 ტელსტარი
სიტარდი 0:1 ჰაარლემი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა. | 27 | 17 | 8 | 2 | 73:28 | 59 |
| ჰერაკლესი | 26 | 17 | 4 | 5 | 47:26 | 55 |
| ვენლო | 27 | 14 | 8 | 5 | 50:28 | 50 |
| ზვოლე | 28 | 12 | 8 | 8 | 48:38 | 44 |
| ვოლენდამი | 28 | 13 | 5 | 10 | 39:34 | 44 |
| ჰელმონდი | 26 | 11 | 7 | 8 | 45:35 | 40 |
| ტელსტარი | 27 | 10 | 9 | 8 | 42:35 | 39 |
| დორდრეხტი | 26 | 11 | 6 | 9 | 35:37 | 39 |
| კამბური | 28 | 11 | 6 | 11 | 34:38 | 39 |
| აპელდორნი | 27 | 12 | 1 | 14 | 43:44 | 37 |
| ვეენდამი | 27 | 10 | 7 | 10 | 41:43 | 37 |
| ოსი | 28 | 10 | 6 | 12 | 38:53 | 36 |
| ჰაარლემი | 28 | 9 | 6 | 13 | 38:47 | 33 |
| ექსელსიორი | 27 | 9 | 5 | 13 | 38:41 | 32 |
| იგლსი | 26 | 8 | 8 | 10 | 32:40 | 32 |
| მაასტრიხტი | 28 | 7 | 9 | 12 | 30:35 | 30 |
| ეინდჰოვენი | 28 | 5 | 8 | 15 | 41:62 | 23 |
| სიტარდი | 27 | 5 | 8 | 14 | 35:56 | 23 |
| ემენი | 27 | 4 | 7 | 16 | 30:59 | 19 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. დღეს

## იარცევის სკამი შეირყა
## წინასაარჩევნო კამპანია ტალინში

III ჯგუფი

ესტონეთი — რუსეთი

**დღევანდელმა** ტალინურმა მატჩმა შესაძლოა, რამდენიმე ადამიანის მომავალი შეცვალოს.

რუსეთის ნაკრებმა თუ ვერ მოიგო, ალბათ გეორგი იარცევი სკამს გაათავისუფლებს, ხოლო რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალური დირექტორის, ალექსანდრ ტუკმანოვის რეიტინგი დაეცემა. ტუკმანოვი კავშირის ყოფილი პრეზიდენტის, ვიაჩესლავ კოლოსკოვის სკამს უმიზნებს და იარცევის მწვრთნელობის მომხრეა. პრეზიდენტის არჩევნები კი აპრილის დასაწყისშია დანიშნული.

ჯგუფში ორი გამოკვეთილი ლიდერია — პორტუგალია და სლოვაკეთი, რომლებმაც სუსტ თანაჯგუფელებთან მატჩებში დაგეგმილი ქულები მოიხვეჭეს და დაწინაურდნენ. რუსეთი კი მათ სამი ქულით ჩამორჩება. იარცევის ნაკრებს ჯგუფში მოხვედრა თუ სურს, პორტუგალიის და სლოვაკეთის უნდა სძლიოს, საამისოდ კი ქულების არდაკარგვაა საჭირო.

რამაც ქომაგები და ჟურნალისტები ძალიან გააბრაზა. ესტონეთი ლიხტენშტაინზე უკეთესი გუნდია, შაბათის მსგავსი თამაშით კი ამჯერად ფონს აშკარად ვერ გავალთო.

...ცალკე მინდა შერჩევის პრინციპზე ვთქვა. ჩემთვის და ჩემი თანაშემწეებისთვის არც ერთი კალათბურთელი ავტორიტეტს არ წარმოადგენს. ვინ სად თამაშობს, ამას კი აქვს მნიშვნელობა, მაგრამ არა გადამწყვეტი. ვინც კონკრეტული მომენტისთვის მზად იქნება, ის ჩაირიცხება ნაკრებში და არა ვთქვათ, ის, ვისაც გუნდში მოხვედრა უკეთესი კონტრაქტის გასაფორმებლად სჭირდება.

...გარდა ფიზიკური მზადყოფნისა, აუცილებელია, მოთამაშე ფსიქოლოგიურადაც იყოს მწყობრში. ახლა ზოგიერთ ლეგიონერს მთლად კარგად არ მისდის კლუბში საქმეები. ზოგი ცოტას თამაშობს, ზოგიც საერთოდ არ გაჰყავთ მოედანზე. დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა განწყობით ჩამოვლენ ეს ბიჭები ნაკრებში. მე მათ ყველანაირად შევუწყობ ხელს და თუ ვარჯიშებზე თავს გამოიჩენენ, ძირითადშიც ჩავრიცხავ.

...ვფიქრობ, შეთამაშების მხრივ სერიოზული პრობლემა არ შეგვექმნება. მართალია, ორი ასაკის, 1985-86-იანების ნაკრებია, მაგრამ ამათგან ბევრს ერთად უთამაშიათ სანაკრებო და საკლუბო დონეზე. 22 კანდიდატიდან ათს „ბასკოს" ახალგაზრდულ გუნდში უთამაშია, რომელბიც ბალტიისპირეთში ევროტურნირში მონაწილეობდნენ. ცალკე არიან კადეტთა და ჭაბუკთა ნაკრებში ნათამაშები ბიჭები. ერთი სიტყვით, ისინი კარგად იცნობენ ერთმანეთს და ალბათ არ გაუჭირდებათ შეთამაშება.

პრესკონფერენციაზე იმყოფებოდნენ კანდელაკის თანაშემწენი — დავით უსტიაშვილი და მიხეილ კობეშავიძე, რომლებმაც თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს.

**დავით უსტიაშვილი**: „კარგი ლეგიონერები გვყავს, მაგრამ არც საქართველოში არიან ნაკლები მოთამაშეები. გამოვარჩევ ნიკა ჩხატარაშვილს, რომელმაც სერიოზული ავადმყოფობის შემდეგ ფორმა აღიდგინა. ის ძალიან მონდომებულია და სწრაფად პროგრესირებს."

**მიხეილ კობეშავიძე**: „მე და დავით უსტიაშვილის ძირითადი მიზია ისაა, რომ საქართველოში მოთამაშე არც ერთი კალათბურთელი არ გამოგვეპაროს, რომელსაც ნაკრების დახმარება შეუძლია. ჩვენ თვალს ვადევნებთ ყველა კალათბურთელს და გარანტიას ვიძლევით, რომ მონდომება არავის დაეკარგება. დავით ერქვანია 208 სანტიმეტრი სიმაღლისაა და არც ერთ გუნდში არ ირიცხება. მან ვარჯიში უკვე დაიწყო და ნაკრებში მოხვედრის შანსიც აქვს."

**ირაკლი პერტაია**

### საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატთა სია

1 სერგო ათუაშვილი ---------- შალონი (საფრანგეთი)
2 გიორგი მდივანი ---------- ეპინალი (საფრანგეთი)
3 რევაზ ათანელიშვილი ---------- სლოვანი (სლოვენია)
4 დავით იმნაძე ---------- გაერგ უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი)
5 დავით ერქვანია ---------- უგუნდო
6 მამუკა გოლქვაძე ---------- „ავიამშენი"
7 ირაკლი ჩავლეიშვილი ---------- ჩარლსტონი (აშშ)
8 ნიკა ჩხარტაშვილი ---------- „დინამო"
9 დავით საყვარელიძე ---------- შალონი (საფრანგეთი)
10 მანუჩარ მარკოიშვილი ---------- ოლიმპია (სლოვენია)
11 ბესიკ ლეჟავა ---------- დიჟონი (საფრანგეთი)
12 გიორგი ცინცაძე ---------- ურალ გრეიტი (რუსეთი)
13 ლაშა ფარღალავა ---------- ეარ აკადემია (აშშ)
14 ლაშა გამყრელიძე ---------- „დინამო"
15 გიორგი მარხვაშვილი ---------- თსუ
16 ტატო ვაშაკიძე ---------- „პასვალიო" (ლიტვა)
17 გიორგი მამაცაშვილი ---------- „რასინგი" (საფრანგეთი)
18 რევაზ დიდია ---------- „რასინგი" (საფრანგეთი)
19 მიხეილ ბერიშვილი ---------- თსუ
20 ვიქტორ სანიკიძე ---------- დიჟონი (საფრანგეთი)
21 ლექსო ლაფანაშვილი ---------- „დინამო"
22 ირაკლი სორდია ---------- უგუნდო

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ინდი, მინდი
## მილუოკიში ინდიანას ფისქვილიც ფქვავს

— 28 მარტი —

**მილუოკი 76:90 ინდიანა**

**მილუოკი**: უილიამსი (3), რედი (14), მეისონი (6), სმიტი (6), გაძურიჩი (12 ქულა, 10 მოხსნა); გოლდვაირი (11), ფიზერი (8), *ფაჩულია* (21 წუთი, 6 ქულა, 8 მოხსნა, 1 დაფარება), სტრიკლენდი (6), ბუთი (4), გეინისი, კუკოჩი

**ინდიანა**: ჯონსონი (12), მილერი (22), ჯეკსონი (13), კროშერი (6), დევისი (10); ფ. ჯონსი (10), პოლარდი (8), ფოსტერი (4), ჯ. ჯონსი (3), გილი (2), ედვარდსი

**გოლდენ სტეიტი 108:100 ნიუ იორკი**

**გოლდენ სტეიტი**: დევისი (33), რიჩარდსონი (12), დანლივი (11), მერფი (19 ქულა, 19 მოხსნა), ფოილი (5); პიეტრუსი (17), ფიშერი (7), ჩაბარკაპა (4), *ცქიტიშვილი* (5 წუთი, 2 მოხსნა, 2 დაფარება, 1 პასი), ბიედრინსი

**ნიუ იორკი**: მარბერი (31), კროუფორდი (13), ტ. ტომასი (13), სვიტნი (4), კ. ტომასი (12 ქულა, 14 მოხსნა); ტეილორი (17), როუზი (8), ჯექსონი (2), არიზა, უილიამსი

**შარლოტი 91:95 ნიუ ჯერსი**

**შარლოტი**: ბრევცი (20 ქულა, 12 მოხსნა), ნაითი (16 ქულა, 10 პასი)

**ნიუ ჯერსი**: კარტერი (39), კრსტიჩი (15)

**ორლანდო 109:102 ატლანტა**

**ორლანდო**: ფრენსისი (30 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა), ჰოვარდი (17), ჰილი (16)

**ატლანტა**: სმიტი (14), ჩილდრესი (14)

**დეტროიტი 88:95 დალასი**

**დეტროიტი**: ბილაფსი (26), ჰამილტონი (23)

**დალასი**: ჰოვარდი (24), ნოვიცკი (22)

**ნიუ ორლეანი 108:109 კლივლენდი**

ძირითადი დრო 101:101

**ნიუ ორლეანი**: სმიტი (22), ნახბარი (17)

**კლივლენდი**: ჯეიმსი (44)

**ჩიკაგო 94:86 მემფისი**

**ჩიკაგო**: კარი (25), გორდონი (17)

**მემფისი**: ველსი (30)

**ფინიქსი 123:114 დენვერი**

**ფინიქსი**: მარიონი (30 ქულა, 14 მოხსნა), ნეში (23 ქულა, 12 პასი), ჯონსონი (23)

**დენვერი**: ენტონი (22), მილერი (19)

**იუტა 85:99 ჰიუსტონი**

**იუტა**: ოქური (25), ჰარპრინგი (18)

**ჰიუსტონი**: მაკგრეიდი (44), ჯეიმსი (16)

**პორტლენდი 106:114 ვაშინგტონი**

**პორტლენდი**: აბდურ-რაჰიმი (19)

**ვაშინგტონი**: არენასი (28), ჰიუზი (25)

**საკრამენტო 118:109 ფილადელფია**

**საკრამენტო**: მობლი (30), სტოიაკოვიჩი (26), ტომასი (20 ქულა, 15 მოხსნა)

**ფილადელფია**: აივერსონი (34), ვებერი (20), დალემბერტი (16 ქულა, 16 მოხსნა)

**ამ** წყალწაღებულ „მილუოკი ბაქსს" შინაური კედლებიც ვეღარ შველის. „ინდიანასთან" შინაური მარცხი ზედიზედ მეექვსე გამოდგა ზაზა ფაჩულიას გუნდისთვის. „ბაქსი" ადრე „ინდიანასთან" მაინც ყოჩაღობდა. ამ გუნდს მაშინაც უჭირდა მილუოკში თამაში, როცა ყველა ჯანზე ჰყავდა და საჩემპიონო ამბიციები მოსძალებოდა. იქ ბოლო 10 სტუმრობიდან რვაჯერ შეჩქვიფებული გამობრუნდა და ახლა, არცთუ საუკეთესო პერიოდში — ცოტა გასაკვირია და — უიოლესი გამარჯვება წამოიღო.

„ინდიანას" სამი ლიდერი აკლდა — რონ არტესტი, ჯერ სეზონიც არ იყო გახურებული, რომ საერთოდ მოკვეთეს დეტროიტში ფანებთან ხელჩართული ჩხუბის გამო. ჯერმეინ ონილი ტრავმის გამო აპრილამდე უჩინობს და ასევე დაშავებულია ძირითადი გამთამაშებელი ჯამალ ტინსლი. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ისე მოუხტნენ „ხარირმებს", თითქოს ამხელა კაშკაშები კი არა, მე-11-12 მოთამაშეები ჰკლებოდეთ.

პირველი მეოთხედის შემდეგ „ინდიანა" 27:19 უგებდა „მილუოკის", მეორეს შემდეგ 45:34, ბოლოს ერთი მეოთხედის ჩაუთამაშებლის შემდეგ კი ტაბლოზე 74:50 ენთო.

„სიცოცხლის ნიშანწყალი არ გვეტყობოდა" — ჩმუნავდა ნამარცხებს „ბაქსის" თავკაცი ტერი პორტერი.

ინდიანელებს კი ჭმუნვის და ჩივილის საბაბი ნაღდად არა აქვთ. ყველა ლოგიკით ისინი ახლა სადღაც „მილუოკის" დონეზე უნდა იდგნენ ცხრილის სიღრმეში, თუმც გასაჭირს არ უტყდებიან, თამაშებს იგებენ და საპლეიოფო შანსებსაც ულაპარაკოდ ინარჩუნებენ. როგორ? რანაირად? მათი მწვრთნელი რიკ კარლაილი სიცოცხლის ელექსირად ერთ კაცს მოიჩნევს. ვინ იქნება ეს ერთი კაცი, თუ არა რეჯი მილერი, ამ გუნდის ერთგული 1987 წლიდან და ლაძის „პეისერზის" სიმბოლოდ ქცეული გამხდარი მოხუცი.

„ერთადერთი მიზეზი, რაც ჩვენ ჩაძირვის საშუალებას არ გვაძლევს, რეჯი მილერია" — ამბობს რიკ კარლაილი. ასაკმა მილერის მუხლებიდან ძალა გამოაცალა, მაგრამ მას თვალები ახალგაზრდულად უელავს და ყოველ თამაშში მაქსიმუმს გამოდის თავისი გუნდისთვის. „მილუოკის" მან 5 სამქულიანი და 22 ქულა უმარჯვა და ყველა ბომბი მნიშვნელოვან ეპიზოდში მიუშვა „ბაქსის" დაცვის ისედაც მერყევ კედელზე.

გაცილებით ყოჩაღად გამოიყურება ნიკა ცქიტიშვილის „გოლდენ სტეიტი", თუმც ამაში ქართველ ფორვარდს სხვებზე ნაკლებად უნდა უმადლოდეს. „მეომრებს" ახალი წინამძღოლი ჰყავთ — ბარონ დევისი და მისი ქულუხვობა უფრო მეტ მოგებას ნიშნავს, ვიდრე მარცხს. „გოლდენ სტეიტს" ეს ვარსკვლავი სეზონის დაწყებამდე რომ ეგდო ხელთ, ახლა საპლეიოფოდ გამზადებული გუნდი იქნებოდა.

**კოტე ყორშია**

**აღმოსავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 53 | 18 | 74,6 |
| დეტროიტი | 43 | 27 | 61,4 |
| ბოსტონი | 38 | 32 | 54,3 |
| ვაშინგტონი | 39 | 30 | 56,5 |
| ჩიკაგო | 38 | 31 | 55,1 |
| კლივლენდი | 36 | 32 | 52,9 |
| ინდიანა | 36 | 34 | 51,4 |
| ფილადელფია | 35 | 35 | 50,0 |
| ორლანდო | 33 | 37 | 47,1 |
| ნიუ ჯერსი | 33 | 38 | 46,5 |
| ნიუ იორკი | 29 | 40 | 42,0 |
| ტორონტო | 29 | 40 | 42,0 |
| მილუოკი | 27 | 43 | 38,6 |
| შარლოტი | 15 | 54 | 21,7 |
| ატლანტა | 11 | 59 | 15,7 |

**დასავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფინიქსი | 53 | 17 | 75,7 |
| სან ანტონიო | 52 | 18 | 74,3 |
| სიეტლი | 48 | 21 | 69,6 |
| დალასი | 47 | 23 | 67,1 |
| საკრამენტო | 44 | 28 | 61,1 |
| ჰიუსტონი | 43 | 28 | 60,6 |
| მემფისი | 39 | 30 | 56,5 |
| დენვერი | 38 | 31 | 55,1 |
| მინესოტა | 37 | 34 | 52,1 |
| ლეიკერსი | 32 | 37 | 46,4 |
| კლიპერსი | 32 | 38 | 45,7 |
| გოლდენ სტეიტი | 25 | 45 | 35,7 |
| პორტლენდი | 24 | 45 | 34,8 |
| იუტა | 22 | 48 | 31,4 |
| ნიუ ორლეანი | 16 | 54 | 22,9 |

*პირველი სამი ადგილი დივიზიონის ლიდერებს უჭირავთ*

# ორი ოკეანის დამპყრობი

**მცდარია** მოსაზრება, რომ ქალები სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან. ქალბატონებმა არა ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი არაფრით ჩამოუვარდებიან კაცებს. ქალებმა ბევრჯერ გაიმეორეს კაცების მიღწევები და ზოგიერთ სფეროში გააუმჯობესეს კიდეც. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ საქმეში, სადაც ადამიანს ხანგრძლივი ფიზიკური დატვირთვა უწევთ ყინვასა თუ სიცხეში. ქალები განსაკთრებით ძლიერები არიან იმ საქმეში სადაც მათ ელით, თუ შეიძლება ასე ითქვას, რაღაც მაზოხისტური ტანჯვის გამოცდა. ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა 27 წლის ფრანგმა მოდ ფონტენუამ, რომელიც გახდა პირველი ქალი, ვინც ნიჩბიანი ნავით მარტოდმარტო გადასერა წყნარი ოკეანე და ფინიშს ამ შაბათს მიაღწია.









როცა მოდ ფონტენუამ თავისი 7-მეტრიანი ნავი პერუში კალიაოს პორტში ჩაუშვა და 12 იანვარს სტარტი აიღო, ეს არ გაჰკვირვებია იმას ვინც ამ ფრანგ ქალბატონს იცნობდა და მისი ახირებების ამბავიც სმენოდა. ბევრს გაახსენდა, რომ მონ ფონტენუამ 2003 წელს კანადიდან ესპანეთში ასევე მარტოდმარტომ ნიჩბიანი ნავით ატლანტის ოკეანე ორიოდე თვეში გადაცურა.

და რაკი ამ ახალგაზრდა ქალბატონს ორი ოკეანის დაპყრობით ესოდენ გაუთქვამს სახელი, უპრიანი იქნება მისი უფრო ახლოს გაცნობა.

მოდ ფონტენუა ჯერ კიდევ 15 წლისა იყო, როცა მშვენიერი განათლება მიიღო და კარგად დაეუფლა ცხენოსნობას, აფროსნობას და ცურვას. 16 წლისა უკვე საკმაოდ გამოცდილი ნავიგატორი იყო. ცოტა მოგვიანებით მან საფრანგეთსა და ამერიკაში თავი გამოიჩინა, როგორც საკმაოდ კარგმა მოცურავემ და ცხენოსანმა.

ახლა მოდ ფონტენუა საფრანგეთის ტრადიციული ნიჩბოსნობისა და აფროსნობის ფედერაციის პრეზიდენტია. აგრეთვე არის იმ ასოციაციის დამაარსებელი, რომელიც მიზნად ისახავს „რთული" კვარტალებიდან აფროსნობაში მოზარდების მოზიდვას. ამ ასოციაციის განკარგულებაშია 12-მეტრიანი ნიჩბიანი და აფრიანი ნავი, რომელიც 10-კაციანი გუნდისთვისაა განკუთვნილი. იგი სხვებსაც ულვივებს ზღვათა დაპყრობის ინტერესს და თავადაც ეჭიდება ოკეანეების უკიდეგანო სივრცეებს.

ახლანდელი მოგზაურობის დაწყებამდე, რა თქმა უნდა, ამ ქალბატონს მრავალი ინტერვიუ ჩამოართვეს.

„ვიცი, რომ ძალიან რთული გამოცდა მელის. იქნება შტორმიც, იქნება მარტოობაც, მაგრამ რაც მეტი იქნება გაჭირვება, მით უფრო ძვირფასი გახდება ჩემი გამარჯვება. აქედან ჰაიტიმდე შორი სულაც არაა. სულ რაღაც... 8 ათასი კილომეტრია.

ასე იყო თუ ისე 12 იანვარს მოდ ფონტენუამ სტარტი აიღო. მართალია, მას განზრახული ჰქონდა, რომ ხომალდების დაუხმარებლად უნდა გადეკვეთა მთელი ოკეანე, მაგრამ მოგზაურობის პირველ დღეს მას მაინც პერუს ვეება სამხედრო ხომალდი მიაცილებდა, რათა ახლომახლო წყლებში მეკობრეებისა და დიდ სავაჭრო გემებთან შეჯახებისგან დაეცვა. და სულ რამდენიმე საათის შემდეგ ფრანგი მოგზაური თავის ნავთან ერთად უკიდაგანო სივრცეში მარტოდმარტო აღმოჩნდა. მას თან მიჰქონდა საკვები, მტკნარი წყლის გამოსახდელი მოწყობილობა, ნავიგაციური სისტემა და ავარიული შუქურა. მის ნავში მოიძებნა ადგილი თანამგზავრული ტელეფონისთვისაც.

ამ მოგზაურობით მოდ ფონტენუამ პრაქტიკულად გაიმეორა 1947 წელს სახელგანთქმული ნორვეგიელი მკვლევარისა და მოგზაურის, ტურ ჰეიერდალის მთელს მსოფლიოში გახმაურებული მოგზაურობა პაპირუსის იალქნიანი ტივით, რომელსაც „კონ ტიკი" უწოდა.

წყნარი ოკეანე ნიჩბიანი ნავით მარტოდმარტომ პირველად გადასერა დიდბრიტანელმა სპორტსმენმა ჯიმ შეჰდარმა. მან სტარტი სამხრეთ ამერიკაში, კუნძულ სტრადბრუკიდან აიღო და ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებამდე რვა თვის მერე ჩააღწია, რისთვისაც 25 ათასი კილომეტრის დაფარვა მოუხდა.

ახლა, მოდ ფონტენუამ იგივე ოკიანე 72 დღეში გადაცურა, რაც ნავარაუდევზე თითქმის ერთი თვით ნაკლები გამოვიდა.

მოდ ფონტენუას მარკიზის კუნძულთაგან ერთ-ერთზე, ჰივა ოაზე ადგილობრივი მცხოვრებნი ჭრელ-ჭრულა ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილნი და იმავდროულად ნახევრად შიშვლები უამრავი ყვავილით შეეგებნენ. პოლინეზიელმა მამაკაცებმა წყალშივე ხელში აიტაცეს ეს ფრანგი ქალბატონი და ასე გამოიყვანეს სანაპიროზე.

„მე ამ მომენტს დიდხანს ველოდი. ძალიან კმაყოფილი ვარ" — სიტყვებს ველარ პოულობდა საფრანგეთის რადიოსთვის მიცემულ იტერვიუში მოდ ფონტენუა.

ფონტენუამ ისიც თქვა, რომ ასეთი ხანგრძლივი ნიჩბების მოსმისაგან ხელები და ზურგი მტკივა.

მოგზაურობა, უპირველეს ყოვლისა, იყო ნებისყოფის გამოცდა. ეს იყო იმის დასტურიც, რომ ქალებსაც შეუძლიათ იყვნენ მიზანდასახულნი და ფიზიკურად იმდენად მომზადებულნი, რომ შეძლონ ასეთი მასშტაბის მოგზაურობა".

მონტენუამ ისიც აღიარა, რომ მოგზაურობის ბოლო მონაკვეთი განსაკუთრებით რთული იყო. მისი ნავი გადაბრუნდა და ქალმა იფიქრა, ახლა კი ველარაფერი მიშველის და დავიხრჩობიო.

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა სრულიად მოულოდნელად ამ ერთი ციცქნა ნავს ტალღა თავს დაატყდა იმ დროს, როცა სავენტილაციო ლუკი ღია იყო, საიდანაც ნავში წყალი შეიჭრა და გადააბრუნა.

მოდ ფონტენუას მოგზაურობის დაწყებისთანავე მისალოცი დეპეშა გაუგზავნა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა და პრემიერმინისტრმა ჟან პიერ რაფარენმა, მაგრამ, ეტყობა, ამ ქალბატონისთვის მათი მილოცვა ბოლოს სულაც არ იქნება და სულს რომ მოითქვამს, ალბათ ახალ მოგზაურობაზე დაიწყებს ფიქრს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**






# პირველი ჩემპიონი



პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე 80 წლისაა. მიუხედავად ასაკისა, იგი სპორტულ ცხოვრებას ერთი დღითაც არ ჩამოსცილებია. საჭიდაო სამყაროს არც ერთ თავყრილობას არ აკლდება და დღევანდელი საქართველოს ნაკრების მოჭიდავეების გვერდით დგომას თუ პროფესიულ რჩევა-დარიგებებსაც ასწრებს. ერთხანს ისე გაუჭირდა, ოლიმპიური მედლის გაყიდვაზეც კი ჩამოაგდო სიტყვა, თუმც უიმედობის პერიოდი წარსულს ჩაბარდაო, გვითხრა გუშინ რესტორან „თეთრ სახლში", სადაც საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური ფონდის მიერ ორგანიზებული საიუბილეო სალამო ჩატარდა. გთავაზობთ პირველი ჩემპიონის სპორტულ და ცხოვრებისეულ მოგონებებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



დავით ციმაკურიძე ჰელსინკის ოლიმპიურ სარბიელზე

1925 წლის 29 მარტს ფოთში დავიბადე და ხუთ წლამდე იქ ვცხოვრობდი, მერე კი თბილისში გადმოვედით. მამაჩემი მოჭიდავე იყო, ცირკში ჭიდაობდა მიშიკო მაჩაბლის ფსევდონიმით და საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში ხშირად უწევდა ყოფნა. მამის გზის არჩევა თავიდანვე არ გადამიწყვეტია. ცხრა წლისა პირველი საშუალო სკოლის ტანვარჯიშის სექციაზე მივედი არჩილ ბაქრაძესთან. მალე უკვე ოსტატობისთვის ვემზადებოდი, მაგრამ ასაკთან ერთად წონაც მომემატა და ორჯერ ძელიდან მოვწყდი. მწვრთნელმაც ალალად მირჩია, უკეთესი იქნება, თუ მამაშენის გზას აირჩევ, იქაურ წარმატებაში აქ მიღებული გამოცდილებაც დაგეხმარებაო. მეც დავუჯერე, თუმც მცირე საჭიდაო გამოცდილება ჭიდაობაზე შესვლამდე მივიღე.

12 წლის ვიყავი, როცა მამა ზესტაფონში გადაიყვანეს სამუშაოდ და ბინაც მისცეს. სწორედ იქ დავიწყე ჭიდაობა. თანატოლებთან ერთად სპეციალური მოედანიც კი გავაკეთე. მამას ნახერხი მოვატანინე, დავყარეთ და თითქმის სულ იქ ვიყავით. ყველას დიდი ფალავნების სახელები გვერქვა. ზოგი სანდრო კანდელაკი იყო, ზოგი ნესტორ ესებუა, კოსტა მაისურაძე და ასე შემდეგ. მე კი, რა თქმა უნდა, მიშიკო მაჩაბელი შევარჩიე.

ორ წელიწადში ისევ თბილისში დავბრუნდით და დიდ ჭიდაობაშიც შევაბიჯე. მაშინდელ ორჯონიკიძის ქუჩაზე, მოჭიდავეების სამჭედლოდ წოდებულ პეტრე იორდანიშვილის დარბაზში დავიწყე ვარჯიში კლასიკურ ჭიდაობაზე. თავისუფალი ჯერ საერთოდ არ იყო შემოსული. პირველი გამარჯვების გემოც სწორედ კლასიკურში გავსინჯე. 1942 წელს ბათუმში საქართველოს ჩემპიონი გავხდი. საქართველოს პირველობა ერქვა, თორემ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი რუსი და უკრაინელი სპორტსმენებიც მრავლად გამოდიოდნენ. ორი კრეისერი ჩამოვიდა — „კრასნი კრიმი" და „კრასნი კავკაზი" და ის მოჭიდავეები მეზღვაურები იყვნენ.

ბათუმური ჩემპიონობის შემდეგ კლასიკურში საქართველოს პირველობა რვაჯერ მოვიგე, თუმც მთავარი გამარჯვება მაინც თავისუფალ ჭიდაობაში მოვიპოვე. იგი 1945 წელს შემოვიდა საქართველოში, მაშინვე გადავერთე და სულ მცირე ხანში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზეც წავედი ლენინგრადში. ქართველები ყველაზე ძლიერად გამოვედით, მსუბუქ წონაში ილურიძემ იჩემპიონა, საშუალოში მე, ნახევრად მძიმეში ვალაშაკ მაჩკალიანმა და მძიმეში არსენ მეკოკიშვილმა. სამწუხაროდ, იმ დროს მსოფლიოს პირველობები არ ტარდებოდა და საერთაშორისო ასპარეზზე მთავარ სამიზნედ ოლიმპიადა გვრჩებოდა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კი კიდევ შვიდჯერ მოვიგე. 1948 წელს კლასიკურშიც ვიჭიდავე როსტოვში და იქაც ყველას ვაჯობე, მაგრამ მოულოდნელად ფინალის შედეგი გააუქმეს და პირველი ადგილი მოსკოველს მისცეს. როგორც მერე გავიგეთ, ამ ჩემპიონობით მოსკოვის გუნდი გუნდურ პირველობას იგებდა.

ტანვარჯიში უკვე ვახსენე, მაგრამ ჭიდაობის გარდა ეს ერთადერთი სახეობა როდია, რომელშიც მიცდია ძალა. არაჩვეულებრივად ვცურავდი, ველოსპორტსაც მივდევდი, კრივსაც და ძალოსნობასაც. დიდ საჭიდაო წარმატებებში იქაური ვარჯიშებიც წამადგა. მიღწევები ჭიდაობის გარდა არსად მქონია, თუ არ ჩავთვლით ლენინგრადში ძალოსნობაში გაპრიზიორებას. პროფკავშირთა საკავშირო პირველობაზე თბილისის გუნდს წარმოვადგენდი და ჩემს სახეობაში პირველობისკენაც მივდიოდი, მაგრამ უცებ გაირკვა, რომ ჩვენი მძიმეწონოსანი ძალოსანი ავად გამხდარიყო და მთხოვეს, მისი მაგივრობა გამეწია. მოჭიდავეთა და ძალოსანთა შეჯიბრი ერთ დიდ დარბაზში ტარდებოდა და აქეთ-იქეთ მიწევდა სირბილი. ხალიჩაზე ხომ ვიჩემპიონე, ფიცარნაგზე, თქვენ წარმოიდგინეთ, მესამე ადგილზე გავედი, ხოლო გუნდურში „თბილისმა" მეორე საპრიზო დაიკავა.

პირველი დიდი გამოცდა 1948 წელს უნდა ჩამებარებინა. ლონდონის ოლიმპიური თამაშები ახლოვდებოდა და მთელი შემართებითაც ვემზადებოდი, მაგრამ სტალინის გადაწყვეტილებით, ის ოლიმპიადა საბჭოთა ნაკრებმა საერთოდ გამოტოვა. აქაოდა, ამხელა ქვეყნის გუნდი თუ სადმე წავა, აუცილებლად ჩემპიონი უნდა გახდესო, ბრიტანეთში კი ამის შანსი მცირე იყო. ცურვასა და მძლეოსნობაში მედლების ყველაზე მეტი კომპლექტი თამაშდებოდა და კონკურენტ ქვეყნებს სწორედ ამ სახეობებში ვერ ვაჯობებდით. სტალინმაც თქვა, დავიცადოთ 1952 წლამდე, გავძლიერდეთ და შინ გამარჯვებულები დაბრუნდებითო.

ჰელსინკის ოლიმპიადა ჩემთვის ცუდად დაიწყო. პირველ ბრძოლაში შვედ ლინდბლადთან მსაჯებმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს. წესით, მე უნდა მომეგო, მაგრამ მათი აზრები გაიყო და ორის გადაწყვეტილებით გამარჯვება მეტოქეს მიანიჭეს. მაშინვე გავაპროტესტეთ და ამისთვის საჭირო 5 ათასი ფინური მარკაც შეიტანეს, მაგრამ სანამ კომისია ამ საკითხზე იმსჯელებდა, მე მორიგი





დავით ციმაკურიძე მსოფლიოს ჩემპიონებთან, ვეტერან გურამ საღარაძესთან და მოქმედ ლუკა კურტანიძესთან ერთად

შეხვედრების ჩატარება მომიხდა. ჯერ ეგვიპტის ჩემპიონ ჰუსეინს მოვუგე, ხოლო შემდეგ ამერიკელ ჰოჯს და ფინალურ სამეულშიც შევედი. შესაბამისად, პროტესტის განხილვას აღარანაირი აზრი აღარ ჰქონდა და იგი უკან გამოვატანინე. ფინალურ შეხვედრებამდე მინდა ამერიკელთან გამარჯვებას მივუბრუნდე, რადგან სწორედ აქ გამომადგა ქართული ჭიდაობის ბრწყინვალე ილეთები. 1:4-ს ვაგებდი და ბოლო წუთზე პარტერში ფეხი ჩავუხვიე — შუაკაური გავუკეთე და ბეჭებზე დავაგდე. როგორც ზვიადაურმა მოიგო, ზუსტად ისეთი ილეთით ვიმარჯვე, ოღონდ მე ეს პარტერიდან გავაკეთე. ჰოჯი მიხვდა, რომ ვეღარაფერს გახდებოდა და სახეში მთელი ძალით ჩამარტყა. ალბათ უნდოდა გამოვეწვიე. უხეშობითვე რომ მეპასუხა, მაშინვე მომხსნიდნენ. ამიტომ ხელი ცხვირპირზე დავაფარე და ჩემს ხელს ვაკოცე. მსაჯმაც მალევე მისცა სასტვენი და სუფთა მოგება ჩამითვალა. მოგვიანებით ის ამერიკელი კრივში გადასულა, დიდ რინგზე ოქროს ხელთათმანიც კი მოუგია და ამისთვის 100 ათასი დოლარიც მიუციათ.

ფინალურ სამეულში პირველად უნგრელ მსოფლიოს ჩემპიონს გურიჩს შევხვდი და ისე მოვუგე, მცირე შანსიც კი არ დავუტოვე. ჩოქბჯენში ჩემს საფირმოდ მონათლული ილეთი, „ამურას ხერხი" გავუკეთე. მეორე მეტოქედ კიდევ უფრო ძლიერი, ირანის შაჰის ფალავანი გულამ რეზა ტახტი მყავდა. გურიჩი ბედს ვადაზე ადრე შეეგუა. მიხვდა, რომ მესამე ადგილზე მაღლა ვერაფრით ავიდოდა და ტახტს აღარც ეჭიდავა. ამრიგად, ირანელი ჩემთან დასვენებული გამოვიდა, თუმც მეც მეორე სუნთქვა გამეხსნა და 4:1 ვძლიე.

კვარცხლბეკზე დგომის წამები შეუდარებელი ბედნიერება იყო. თვალწინ დამიდგა, თუ რა ხდებოდა იმ წუთში საქართველოში და ცრემლებიც წამომივიდა. მსგავსი სიხარული მეორედ გასულ ზაფხულს განვიცადე, ზვიადაურის ოქროთი.

თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიადაზე გუნდური პირველი ადგილი დავიკავეთ და ამაში ლომის წილი ქართველებს მიგვიძღვოდა. ორივე ოქრო ჩვენი იყო. მძიმე წონაში არსენ მეკოკიშვილმა იმარჯვა. ეს რომ სტალინს შეუტყვია, ძალიან გახარებია. მოსკოვში დაბრუნებულებს საგანგებო ნადიმიც კი გაგვიმართა გეორგიევსკის დარბაზში. მთელი მთავრობა შეკრიბა და ერთად ვიქეიფეთ. მოლოტოვმა ითამადა, თუმც სუფრა მალევე დატოვა, ისევე როგორც მთავრობის სხვა წევრებმა და ბოლოს სპორტსმენებიღა დავრჩით. განსაკუთრებული სიხარული ქართველებს ჯერ კიდევ წინ გველოდა. თბილისში მატარებლით წამოვედით და როგორც კი საქართველოში შემოვედით, საოცარი სიყვარული ვიგრძენით. ყველა სადგურზე გაგიჟებული ხალხი გვხვდებოდა და გვლოცავდა.

შემდეგ ოლიმპიადამდე აქტიური კარიერა დავასრულე. 1953-54 წლებში რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში ვიჩემპიონე. კარიერის ბოლო ხმაურიანი გამარჯვება კი თბილისის ცირკში მოვიპოვე. იაპონიას ვუმასპინძლეთ, 6:2 მოვუგეთ და მე სტუმართა გუნდში ერთ-ერთ უძლიერესს — კაცურამოტოს ვაჯობე.

1956 წლის ავსტრალიურ ოლიმპიადაზე უკვე საბჭოთა ნაკრების მწვრთნელის რანგში ჩავედი და გუნდური ჩემპიონობითაც გავიხარე. ირანელი ტახტი უკვე მძიმე წონაში გადასულიყო და ჩემპიონიც გახდა. პირადად შეხვედრისას დანანებით მკითხა, რატომ არ ჭიდაობდიო. კაცს რევანში წყუროდა.

აგერ უკვე ოთხმოცი წლის გავხდი, მაგრამ სპორტი ერთი წუთითაც არ მიმიტოვებია. სამწვრთნელო კარიერის დასრულების შემდეგაც რეგულარულად ვესწრები ყველა ტურნირს, რომელზეც ქართველები ჭიდაობენ. უცხოეთშიც დავდიოდი და ძველ მეგობრებსაც ვნახულობდი. ბოლო წლებში ფინანსურად გამიჭირდა. ცხრა წლის განმავლობაში 14-ლარიან პენსიას შევყურებდი და ერთხელ ხმამაღლაც გამოვაცხადე, თუ არ მომხედავთ, მედალს გავყიდი-მეთქი. სინამდვილეში სულ რომ მოვმკვდარიყავი, ჰელსინკის მედალს არაფრით არ გავყიდდი. ეს მხოლოდ იმიტომ ვთქვი, მთავრობას ყურადღება მოექცია. სამწუხაროდ, იმ პერიოდში თანამემამულეებზე მეტად სხვა ქვეყნებში მცხოვრები ძველი მეგობრები მეხმარებოდნენ, მეუღლეც კი მათ დამაკრძალინეს.

ბოლო დროს სახელმწიფომაც გამახსენდა და 300-ლარიანი პენსია დამინიშნეს. ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმაც დაგვიფასა ძველი გამარჯვებები და უიმედობის პერიოდიც დასრულდა. ახლა ჩვენი უდიდესი ბედნიერება ახალი თაობის სპორტსმენების გვერდით დგომა და მათი წარმატებებით ტკბობაა.



მარია შარაპოვა

AFP ფოტო

# უილიამსთა ოჯახურის მოლოდინში

**NASDAQ-100 OPEN**
**მაიამი. მაგარსაფარი**
**კაცები. საპრიზო 3,2 მლნ. $**

**მესამე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:2 5:7 6:3; **ტაილორ დენტი** (31, აშშ) — გილერმო კორია (4, არგენტინა) 6:3 6:4; **ტიმ ჰენმანი** (6, ბრიტანეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (28, არგენტინა) 6:3 6:1; **გასტონ გაუდიო** (7, არგენტინა) — სებასტიან გროჟანი (27, საფრანგეთი) 6:2 6:3; **ანდრე აგასი** (9, აშშ) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:2 6:4; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — ფერნანდო გონსალესი (15, ჩილე) 7:6 (7:3) 2:6 6:3; **მარიო ანჩიჩი** (18, ხორვატია) — ტომი ჰაასი (16, გერმანია) 6:4 6:4; **რადეკ შტეპანეკი** (23, ჩეხეთი) — ჯეფ მორისონი (აშშ) 6:3 6:0

**ქალები. საპრიზო 3,115 მლნ $**

**მეოთხე წრე**

**ამელი მორეზმო** (1, საფრანგეთი) — კაროლინა შპრემი (16, ხორვატია) 6:1 7:5; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:1 6:2; **სერენა უილიამსი** (3, აშშ) — ელენა ლიხოვცევა (15, რუსეთი) 6:4 2:6 6:1; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — ტატიანა გოლოვინი (22, საფრანგეთი) 3:6 6:2 6:1; **კიმ კლაისტერსი** (ბელგია) — ანასტასია მისკინა (5, რუსეთი) 6:3 6:4; **ანა ივანოვიჩი** (სერბეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (6, რუსეთი) 6:3 3:6 7:5; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (ბელგია) — ალიშა მოლიკი (7, ავსტრალია) 6:4 2:6 6:2; **ვინუს უილიამსი** (8, აშშ) — კატალინა კასტანიო (კოლუმბია) 6:4 2:6 6:1

**მართალია,** ამქრის ზეგარდმო პირველოსან როჯერ ფედერერს გუშინ დასტურ დაეტყო, რომ ისიც მოკვდავია, ამ მამაცხონებულმა მეტოქის შეუპოვრობის მიუხედავად მაინც შეძლო, თავისი ზედიზედ მე-18 შეხვედრა მოეგო და აქამდე მოურეწავი ტიტულისთვის ბრძოლა გაეგრძელებინა.

ზორბა არგენტინელ საბალეტას მან პირველი სეტი იოლად დასცინცლა და როცა მეორეშიც 5:3 დაწინაურდა, ტრიბუნებზე შეკრებილთ ახვევა დაიწყეს, ტელევიზორებთან მოკალათებულმა კი აქეთ-იქით პულტაობა. მაგრამ უეცრად აჯაგრულმა მარიანომ მატჩს ინტერესიც დაუბრუნა და ქომაგიც — ისარგებლა რა, რომ ფედერერმა წამიერად ჩათვლიმა, მისგან გეიმი უკუიგო, მერე თავისიც მიითვალა, მერე ისევ მისი წაილო და თავის მოწოდებაზე სეტიც მოიკვარახჭინა — 7:5.

გადამწყვეტ სეტში ფედერერი უკვე აშკარად აღელვებული და სადავეებმიშვებული ჩანდა, თანაც საქმეში ოკეანიდან ვნებააკრეფილი ქარიც ჩაერთო და ამქრის აქილევსმაც შეცდომებს უხშირა. თუმცა — არც იმდენად, რეიტინგსიის 52-ე საფეხურზე მდგომ მეტოქეს რომ წამოქცეოდა წლეულს ოდენ ერთხელ ძლეული კაცი. ჰოდა, არც წამოქცევია...

თუკი ფედერერმა მოახერხა, ტურნირის უმძაფრესი ჩოგანთკვეთების შედეგად შერჩენილიყო, მეოთხე ნომრად განთესილი გილერმო კორია წინა დღეებში ოტებულ ენდი როდიკს (2), მარატ საფინსა (3) და კარლოს მოიას (5) მიჰყვა. მან ფიორა წინააღმდეგობაც ვერ გაუწია წლეულს უკვე მეოთხე ზეათეულური სკალპის მიმთლელ ტაილორ დენტს, ვინაც — სანამ მას ჰგვემდა — აქა-იქ ლეიტონ ჰიუიტს, დავიდ ნალბანდიანსა და იმავ საფინსაც მოერია. მაიამობიდან ასე ნაადრევად გავარდნის გამო კორია ამქრის უზენაესი ხუთეულიდან ჩაივაკებს და თავის ალაგს ტურნირზე გამეოთხწრევებულ ტიმ ჰენმანს დაუთმობს. დახვეწილი ბრიტი ეგზომ ადვილად გაუსწორდა წოწოლა არგენტინელ ხუან იგნასიო ჩელას.

უპრობლემოდ იმარჯვეს ტურნირის ექვსგზის ჩემპიონმა ანდრე აგასიმა და მეშვიდე ნომრად განთესილმა გასტონ გაუდიომაც.

დღეს გაცილებით კომფორტულად ვგრძნობდი თავს, ვიდრე პირველ წრეშიო, ამბობდა ნამატჩევს 35-ს მიტანებული არმენოამერიკელი და ძირითადად იმას ჰგულისხმობდა, რომ ტურნირამდე მტკივანი ფეხის ცერა თითი საერთოდ აღარ უჩმახებს.

სხვაფრივ — კაი რამე-რუმე თამაშები შედგა მდედრთა განყოფილებაში, სადაც წყვილად ბარაქიანი ღლავები მოჩანგლეს ხანგრძლივ უქმობათა შემდგომ დიდ კორტს მობრუნებულმა ბელგოგოებმა, კიმ კლაისტერსმა და ჟუსტინ ენენ-არდენისამ. კიმმა დამაჯერებლად აჯობა შარშანდელი როლანგაროსობის გამარჯვებულ ანასტასია მისკინას, რომელმაც მომქანცველი წინა სეზონის მერე ძალების აღდგენა დღემდე ვერ მოახერხა და ძალიან ბითურ ფორმაში გახლავთ. ჭინკა ჟუსტინმა კი, ვინაც შვიდთვიანი პაუზის მერე პირველად სწორედ აქ გამოჩნდა, ეგრევე ამბალ ავსტრალიელ ალიშა მოლიკზე, ქალთა სუფრის ყველაზე პროგრესირებად დევგოგოზე გაიწია. გაიწია და, რაკარც ანგარიშებიდანვე ამოიკითხავდით, ჩოგანიც გადაუღუნა.

გუშლამ ჟუსტინი უიმბლდონის მოქმედ ჩემპიონ მარია შარაპოვას უნდა რკენოდა, რომელიც — პირველ ნომრად განთესილი ამელი მორეზმოს დარად — თავის სამეოთხწრეო მეტოქეს სეტისწაუგებლად გასცდა.

სხვათა შორის, გუშლამვე უნდა აშიშხინებულიყო სერენა და ვინუს უილიამსთა მეოთხედფინალური ოჯახური. შეგახსენებთ, რომ ეს ხორციანი და დიალ მარგებელი კერძი თქვენ და მე 2003 წლის უიმბლდონობის შემდეგ აღარ გვიგემია. სერენა გუშინ გვპირდებოდა, რომ ის და მისი დაიკო კერძის შემზადებისას არც პილპილს დაიშურებდნენ და არც რამეს. ოღონდ სადღეგრძელოები თქვენზე იყოსო, გვთხოვდა და — ვინ მამაძაღლი — კაი შაშიანური ჭაჭა გვექნება.

ხოლო სანამ უილიამსდებისა შეგვესვა, მანამ ალბათ 17 წლის სერბი ანა ივანოვიჩისა უნდა ითქვას, რომელიც რეიტინგსიის 52-ე საფეხურზე კი დგას, მაგრამ არც ეგეთი გამოცდილია, მის მიერ აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის ჩემპიონ სვეტლანა კუზნეცოვას გაიმასქნება მიუჭახუნებლად რომ დავტოვოთ.

**არტემ ჩაჩანიძე**



# მოგება, წაგება, დასვენება და იმედი

**კიევში** მიმდინარეობს უკრაინის წყალბურთელთა ღია ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩები, რომელშიც თბილისელი ჭაბუკები საქართველოს ნაკრების სახელით გამოდიან.

შეგახსენებთ, რომ ტურის დაწყებამდე ჩემპიონატს ლიდერობდა მარიუპოლის პირველი გუნდი, რომელსაც მეორე ადგილზე მყოფი ჩვენი წყალბურთელები სამი ქულით ჩამორჩებოდნენ. თავის მხრივ, ჩვენს წყალბურთელებს სამი ქულით ჩამორჩებოდნენ მესამე ადგილზე მყოფი კიევის დინამოელები.

სამწუხაროდ, ამ ტურის შეხვედრები საქართველოს წარმომადგენლებმა შესუსტებული შემადგენლობით დაიწყეს, რადგან მოსკოვის გუნდებში მოთამაშე ჩვენი რამდენიმე ლეგიონერი თავთავიანთი კლუბებიდან არ გამოუშვეს.

ასე იყო, თუ ისე, საქართველოს წყალბურთელები მეოთხე ტურის პირველ მატჩში მარიუპოლის მეორე გუნდს შეხვდნენ და იოლად გაიმარჯვეს — 11:4. გუშინ კი ლიდერებთან დამარცხდნენ მინიმალური ანგარიშით — 6:7.

ამ შეხვედრაში თავდაპირველად ჩვენი წყალბურთელები დაწინაურდნენ და პირველი პერიოდიც მათვე მოიგეს — 3:1. ამავე პერიოდში ჩვენი გუნდის კარში, როცა იგი 2:0-ს იგებდა, პენალტი დაინიშნა, მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშა ქართველთა მეკარე სანდრო ნარონიძემ, რომელმაც 4-მეტრიანი ტყორცნა მოიგერია.

ამ გუნდების შეხვედრა ამის შემდეგ უფრო დაძაბულად გაგრძელდა და ოდნავ შესამჩნევი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ბოლოს, როგორც ჩვენს წყალბურთელებმა გვითხრეს, მსაჯებმა მასპინძლებს ცოტა ხელი წააშველეს. მეოთხე პერიოდში სტუმართა კარში როცა ისინი ერთი ბურთით იგებდნენ შეხვედრას, კვლავ დაინიშნა პენალტი. მაგრამ სანდრო ნარონიძემ ისევ იმარჯვა, მერე მეტოქემ რიცხობრივი უპირატესობების წყალობით ანგარიში გაქვითა და ბოლოს გაიმარჯვა კიდეც.

დღეს ჩვენი წყალბურთელები „სევასტოპოლს" უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ ქართველებს იძულებით დასვენებამ მოუწიათ

საქმე ის იყო, რომ სევასტოპოლელებმა ტურზე ჩამოსვლა დააგვიანეს, ბოლოს კი, როცა შეჯიბრება მათ გარეშე დაიწყო, ისინი ეწყინათ, განაწყენდნენ და კიევში საერთოდ აღარ ჩავიდნენ.

ხვალ ჩვენი წყალბურთელები მოლდოველთა გუნდს ხვდებიან და, სავარაუდოდ, გაიმარჯვებენ კიდეც.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# ანტილოპა ჩირუ

Beijing 2008

**2008 წლის** პეკინის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური თილისმა შესაძლოა ტიბეტური ანტილოპა ჩირუ გახდეს. ინიციატივა ჩინურ პროვინცია ცინხაის მთავრობას ეკუთვნის და უკვე ოლიმპიურ კომიტეტში განაცხადის შეტანაც მოუსწრიათ.

„ეს ცხოველები ცინხაისა და ტიბეტში 4-5 ათასი მეტრის სიმაღლეზე ბინადრობენ და მიუხედავად მოუხერხებელი რელიეფისა, საათში 100 კილომეტრის სიჩქარით რბენა შეუძლიათ — ამბობს პროვინციის ვიცე-გუბერნატორი მა პეიხუა — ოლიმპიური სიმბოლოს არჩევისას ჩირუს ძალა და გამძლეობა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ და თუ ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილეს, ეს ანტილოპის ამ ჯაჭვის გადასარჩენად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯიც იქნება".

ჩირუ გადაშენების პირასაა. გასული საუკუნის დასაწყისში მისი რაოდენობა მილიონს აჭარბებდა, ახლა კი 45 ათასამდე შემცირებულა და კლება და კვლავაც გრძელდება. მართალია, ჩინური კანონით მასზე ნადირობა აკრძალულია, მაგრამ ბრაკონიერებს ვერაფერს უხერხებენ.

გაზეთ „ჩაინა დეილის" ინფორმაციით, პეკინის თამაშების ორგანიზატორები სიმბოლოს თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ივნისის ბოლოს მიიღებენ. ჩინელი კალმოსნები ანტილოპის გათილისმებაში უკვე დარწმუნებულნიც კი არიან. ამბობენ, შესაძლოა, ოლიმპიადას ერთდროულად რამდენიმე სიმბოლოც ჰყავდესო. ჩირუს კონკურენტები კი პანდა, ვეფხვი და კლასიკურ ჩინური რომანის — „მოგზაურობა დასავლეთში" — მეფე მაიმუნი სუნ უკუნი არიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ქუდები ნადი ალ-შების

დუბაიში ბევრი დოლისთვის ტრადიციულ ქალთა ქუდების დღე გამართეს. მსოფლიო თასი მსოფლიო თასად და სამყაროში უდიდესი საპრიზო ფონდიც თავის ადგილზე, თავსარქმელების ალლუმმა კი ნამდვილად დაამშვენა ნადი ალ-შების იპოდრომი. დუბაის მსოფლიო თასზე შვიდი სადოლე დღეა. ამ დეიდას კი აშა ჯეიმსი ჰქვია.






AFP დუბაიდან

# მეცხრე ორმოსკენ

ფლორიდაში დიდი საგოლფე ტურნირია სოგრასის კლუბში, პონტე ვედრას სანაპიროზე. აქეთ წვიმები სცოდნია, მაგრამ გოლფსაც ჰყოლია ერთგული ქომაგები, რომლებიც ხალისით მიემართებიან მეცხრე ორმოსკენ, სადაც მთავარი ამბავი ხდება.



AFP პონტე ვედრადან

# სერენას ხელრთვა

აგე, რა ამბავია კი ბისკეინში, ნასდაკ 100-ის საჩოგბურთო ტურნირზე. სერენა უილიამსს ნორჩები კორტამდე არ უშვებენ. მათ გულს ვერ დაწყვეტ.



REUTERS კი ბისკეინიდან



REUTERS მარაკაიბოდან

# ჩე მკლავზე

ეს კაცი მიყვაროსო, ამასა ვცემ პატივსო. ასე თუ ამბობს დიეგო მარადონა მარაკაიბოში გამართულ პრესკონფერენციაზე. ერნესტო ჩე გევარას მოჯანყე სულის ტრფიალი, ახალნაოპერაციევი დიეგო ამ დღეებში ვენესუელის პრეზიდენტ უგო ჩავესს შეხვდება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიცლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge